ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## მერაბიშვილი ქუთაისის სასამართლოში სისტემატურად სიარულს არ აპირებს

გვ.5

ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი, 2013 №258 (6259) ფასი: 30 თეთრი

# გია ხუხაშვილი: „რამდენიმე დღეში სკანდალურ განცხადებას გავაკეთებ!“




გვ.6

## ომარ ნიშნიანიძე: „რა ერთი მასალით ხართ ნაციონალები გაკეთებული!“

გვ.3



აურზაური პარლამენტის სხდომაზე

## კობა დავითაშვილი: „ვტოვებ ქართულ პოლიტიკას, არც ერთ არჩევნებში მონაწილეობას აღარ ვაპირებ“

გვ.2





## სოზარ სუბარი: „სააკაშვილი საზოგადოებას და სასამართლოს უპირისპირდება“

გვ.4



## სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა“

გვ.5

## მთავრობა მარგველაშვილის ინაუგურაციისთვის ემზადება

გვ.4



## პატრიარქი მარგველაშვილს: „ხალხი იმედით გიყურებთ და შევთხოვ ღმერთს, მოგცეთ ძალა ამ მოლოდინის გამართლებისა“

გვ.2



## რა უფლებები ექნებათ გუბერნატორებს

გვ.4



## ბურჯანაძე: „არ დავუშვებთ, რომ ხელისუფლების მონოპოლიზაცია მოხდეს“

გვ.2

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**6** სააკაშვილმა ადეიშვილის ძმა შეიწყალა

**4** სერგეენკო პრემიერის პოსტზე მისი კანდიდატურის განხილვას არ ადასტურებს

**3** სააკაშვილი ბრიუსელში კონფერენციას დაესწრო

**6** „პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია“

# კობა დავითაშვილი: „ვტოვებ ქართულ პოლიტიკას, არც ერთ არჩევნებში მონაწილეობას აღარ ვაპირებ“

გულიკო ბალაძე

ხალხის პარტიის ლიდერი პარტიიდან და პოლიტიკიდან მიდის, მაგრამ პარლამენტში რჩება.

ამის თაობაზე კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

კობა დავითაშვილს გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ტრიბუნით აღარ უსარგებლია და მათთან სასაუბროდ ოვალურ მაგიდას მიუჯდა.

— პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო პრესას, ტელევიზიას, საინფორმაციო საშუალებებს. ნამდვილად შევძელი, რაც მსურდა, ის მეთქვა საზოგადოებისთვის. არჩევნები ჩატარდა უკანასკნელი წლებისთვის უჩვეულოდ მშვიდ ატმოსფეროში, რაიმე სახის გაყალბებას ან ფალსიფიკაციას ადგილი არ ჰქონია. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი პოლიტიკური შესაძლებლობა გაემჟღავნებინა შიშისა და ტერორის გარეშე. ეს შედეგი ძალიან ცხადია. გასასამართლებელი საფუძველი ამ შედეგს არ აქვს. მე ვტოვებ ქართულ პოლიტიკას. არც ერთ არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებ, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.

კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ რადგან არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, ყოველგვარი გაყალბების გარეშე, ამიტომ ქართულ პოლიტიკას ტოვებს, არანაირ კენჭისყრასა და არც პოლიტიკურ გადაცემებში არ მიიღებს მონაწილეობას.

კობა დავითაშვილი არც ერთ არჩევნებში კენჭისყრას არ აპირებს, მაგრამ პარლამენტში რჩება, როგორც პარლამენტის წევრი.

— რაც შეეხება პარლამენტის წევრობას, აბსოლუტურად ლოგიკური იქნებოდა, ისიც დამეტოვებინა. პოლიტიკოსს არ აქვს უფლება, იყოს პოლიტიკაში, თუ ხალხი მხარს არ უჭერს. თუ მას ხალხის მხარდაჭერა არ აქვს, ის არ უნდა იყოს პოლიტიკაში. თუმცა, ჩემს ოჯახს სხვა შემოსავალი არ აქვს, გარდა პარლამენტის წევრობის ხელფასისა. ამიტომ ვრჩები პარლამენტში, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

კობა დავითაშვილი გარკვეული ხნის განმავლობაში პარტიაში თავის მოვალეობას შეასრულებს, რადგან გარკვეული ანგარიში აქვს გასაკეთებელი.

ჩვენ დავინტერესდით, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო მისი მხრიდან ამ ვითარებაში პრეზიდენტობისთვის ბრძოლა. ხომ არ იყო ეს თვითმკვლელობის ტოლფასი პოლიტიკოსისთვის, რომელიც 1 წლის წინ დიდი ბრძოლის შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში.

***— ბატონო კობა, იმ ვითარებაში, როდესაც ახალი ხელისუფლება ერთი წლის არჩეულია და გარკვეული რეიტინგიც გააჩნია, თქვენი მხრიდან კოალიციის დატოვება და პრეზიდენტობისთვის კენჭისყრა თვითმკვლელობის ტოლფასი ხომ არ იყო?***

— ეს არ იყო განზრახ თვითმკვლელობა, ეს იყო გაუფრთხილებლობით თვითმკვლელობა. შეიძლება გაუფრთხილებლობით ბრალის ფორმაც დავადგინო. ეს არ იყო დაუდევრობა. ეს იყო თვითიმედოვნება.

***— ამ გადასახედიდან ხომ არ ფიქრობთ, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეთ?***

— ყოველთვის მნიშვნელოვანია იცოდე შენი მოღვაწეობის შესახებ. მე ცხოვრება გავიარე. მინდოდა მისი შეფასება იმ ასაკში, როდესაც შემიძლია ეს ცხოვრება შევცვალო. ბევრად ცუდი იქნებოდა, უფრო გვიან ასაკში რომ მიმეღო აღნიშნული შეფასება.

***— გული ხომ არ გწყდებათ?***

— გულდასაწყვეტი არაფერია.

***— მომავალში პოლიტიკაში თუ დაბრუნდებით?***

— ამ ქვეყანაში გამორიცხული არაფერია. ახლა ძალიან ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა, მაგრამ ის მიზეზები, რომელიც არსებობს, პოლიტიკაში ჩემს ყოფნას შეუძლებელს ხდის. პოლიტიკაში 25 წლის წინ ჩავერთე. მაშინ 1-ელი კურსის სტუდენტი ვიყავი. იდეალიზმის დონე ქართულ პოლიტიკაში მაღალი იყო და საქმიანობა შეიძლებოდა. სიმართლის გაგება ყოველთვის კარგია. სჯობს, მწარე სიმართლეს ჩახედო თვალებში.

***— ბატონო კობა, თქვენი ლოზუნგი იყო სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ თქვენ ხმა არ მოგცეს. ასეთი შედეგის მიზეზი ის ხომ არის, რომ საზოგადოება ამ საკითხის მომწესრიგებლად ისევ ხელისუფლებას მოიაზრებს, რომ ეს უნდა გააკეთოს დღევანდელმა მთავრობამ?***

— საზოგადოებამ მწვანე შუქი აუნთო კოჰაბიტაციას.



***— თუ პოლიტიკიდან მიდიხართ, პარლამენტში თქვენი საქმიანობა როგორ წარმოგიდგენიათ?***

— პარლამენტში ძალიან ბევრი არაპოლიტიკოსი დეპუტატია. საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში ძალიან ბევრი არაპოლიტიკოსია. ზოგი მათგანი პრემიერ-მინისტრიც არის და ზოგი — პრეზიდენტიც. კიდევ ერთი არაპოლიტიკოსი პარლამენტის წევრი იქნება, რომელიც პროცენტულ მაჩვენებლებს სერიოზულად არ შეცვლის. ძალიან ბევრი პარლამენტის წევრია, რომელსაც არც კანონპროექტი მიაქვს, არც სიტყვით გამოდის. ერთით მეტი იქნება თუ ერთით ნაკლები, ამით ქვეყანას არაფერი დააკლდება.

***— ანუ თქვენ საკანონმდებლო ინიციატივებით აღარ გამოხვალთ?***

— არა, ნამდვილად!

***— აბა, რატომ რჩებით პარლამენტში?***

— ხელფასს მივიტან ოჯახში. ხალხმა მხარი არ დამიჭირა. გავაკეთებ იმ აუცილებელ მინიმუმს, რასაც აკეთებს პარლამენტის წევრი, რომ მიიღოს ხელფასი. თუ დაგაინტერესებთ, დეტალურად აგიხსნით, რეგლამენტით რა არის აუცილებელი ამისთვის — საჭიროა დღეში ერთხელ, როცა პარლამენტის სხდომაა, რეგისტრაციის გავლა დილით, როცა სხდომა იხსნება, ან საღამოს, როდესაც კენჭისყრით ტარდება რეგისტრაცია. გარდა ამისა, კომიტეტში სხდომებზე დასწრებაა საჭირო. ორ კომიტეტში აღარ ვიქნები, დავრჩები ერთ კომიტეტში. ხელს მოვაწერ, დავადასტურებ სხდომაზე ჩემს დასწრებას და ხელს შევუწყობ ქვორუმის შექმნას. ამით შემოიფარგლება ჩემი მოღვაწეობა. რა საკანონმდებლო ინიციატივებიც მაქვს, ყველას გამოვიტან.

***— კოალიციასთან ერთად თქვენ ხმები მიიღეთ.***

— არ აქვს მნიშვნელობა. მე მქონდა პროგრამა. თუ არჩევნების შედეგებს შევხედავთ, დაახლოებით ზუსტად იმდენმა ადამიანმა მომცა ხმა, ვინც ჩემს გამო ხელფასს იღებდა სახელმწიფოსაგან. სხვა მხარდაჭერა არ ყოფილა. პარლამენტში სიარულს ვაპირებ. რეგისტრაციებსაც გავივლი.

***— თუკი თქვენ არ აპირებთ აქტიურობას, ოპონენტობას როგორ შეძლებთ?***

— ოპონენტები აღარ მყავს, პოლიტიკაში აღარ ვარ. თუ პოლიტიკოსს მხარდაჭერა არ აქვს, აღარ უნდა იყოს პოლიტიკაში და არ უნდა შეაწუხოს ხალხი თავისი ბრძნული აზრებით. მიღებული შედეგი იყო ჩემი განვლილი ცხოვრების შეფასება, რომლის მიხედვითაც მე ჩემი ცხოვრების მეორე ეტაპი უნდა დამეწყო.

***— ეს საზოგადოებას ხომ არ გაუჩენს პრობლემას?***

— საზოგადოებას ვერ ვხედავ.

***— საზოგადოება არ არსებობს?***

— არ მაქვს განცდა, რომ მას ანგარიში უნდა გავუწიო.

***— ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თქვენ პირველივე შეხვედრისას უთხარით, არ ხარ კარგი კაციო. რატომ აირჩიეთ მასთან ურთიერთობის ასეთი ფორმა?***

— მე ყველასთან ასე ვურთიერთობ. განსხვავებას არ ვაკეთებ იმის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილია თუ ივანე ბიძინაშვილი.

***— შეიძლება დადგეს მომენტი, რომ თქვენ დაბრუნდეთ პოლიტიკაში, ან რა შეიძლება იყოს ის, რამაც შეიძლება გიბიძგოთ პოლიტიკაში დაბრუნებისაკენ?***

— არ ვიცი. ამის თქმა მიჭირს.

***— ბატონო კობა, არჩევნებამდე თქვენ ერთხელ ჩემთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების შუა რგოლი, რომელიც მიუხედავად იმისა, ნაციონალური მოძრაობის მიერაა დაკომპლექტებული, უნდა დარჩენილიყო. ხოლო შემდეგ თქვენ მოითხოვდით სახელმწიფო სტრუქტურების მათგან გაწმენდას. რატომ შეიცვალეთ პოზიცია, ყველა გასვრილი აღმოჩნდა?***

— არა. მე ვასხვავებ ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც რეჟიმს არ ემსახურებოდნენ და რეჟიმის შემოქმედებს. რეჟიმის შემოქმედები უნდა წავიდნენ. ტექნიკურ მუშაკებს არაფერი დაუშავებიათ.

***— ანუ სახელისუფლებო სტრუქტურებში მომუშავე ტექნიკური მუშაკები უნდა დარჩნენ, ხოლო პოლიტიკური ნაწილი უნდა წავიდეს. დღეს ხელისუფლებაში ეს პოლიტიკური ნაწილი პროცენტულად დიდია?***

— დიახ. ბოლო დროს მე ამას ვაპროტესტებდი. არც პოლიციაში, არც პროკურატურაში და არც არსად არსებითად ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში არ მომხდარა. ამ სტრუქტურებში მოქმედი ჯალათები ისევ სხედან.

***— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ის, რომ სახელმწიფო სტრუქტურები ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე კადრებისაგან მთლიანად არ გასუფთავდა? მიზეზი უცხოეთის ზეწოლა იყო თუ...***

— არა. ამის მიზეზი ქართული პოლიტიკური კომფორმიზმია. ადამიანებს ახასიათებთ წინასწარ ერთი რამის თქმა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი საპირისპიროს გაკეთება. ოპოზიციაში სხვა ხალხია ხოლმე საჭირო, ხელისუფლებაში კი — სხვა. ოპოზიციაში გვჭირდება შეურიგებელი, პრინციპული ადამიანები, რომელიც იბრძოლებენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. მერე ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოდიან და თუ მათ არ აქვთ სინდისი (როგორც წესი, ეს ასე ხდება, რადგან ამის მოთხოვნილება ქართულ ბაზარზე არ არსებობს), მაშინ აღმოაჩენენ, რომ ძველი რეჟიმის მსახურნი ძველ რეჟიმსაც სიამოვნებით ემსახურებიან და ყველაფერს იკადრებენ. არაფერს გააპროტესტებენ. იმ პრინციპულმა ადამიანებმა კი, რომლებიც მათი თანამებრძოლები იყვნენ ოპოზიციაში, შეიძლება ყველაფერი გააპროტესტონ, არ დაემორჩილონ უკანონობას, ხელმძღვანელობას შეეკამათონ. მათ ურჩევნიათ კომფორტი და იმ ადამიანებთან მუშაობა, რომლებსაც ეს თვისებები არ აქვთ. ამიტომ ერთი და იგივე ადამიანები არიან ყველა ხელისუფლებაში და ერთი და იგივე ადამიანები არიან ყველა ოპოზიციაში.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ არჩევნები გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა.***

— ნორმალურად ჩატარდა.

***— არიან პრეზიდენტობის კანდიდატები, რომლებიც შედეგებს აპროტესტებენ. მაგალითად, ნათელაშვილი.***

— ეს ჩემი შეფასებაა.

***— საფუძველი არსებობს იმისა ითქვას, რომ ეს არჩევნები გაყალბდა?***

— მე ვერ ვხედავ ამის საფუძველს. არავის ვუშლი, თავისი აზრი ჰქონდეს და ის აზრი ჩემი აზრისაგან განსხვავებული იყოს.

***— ისევ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს?***

— მიმაჩნია, რომ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს. მე ჩემ აზრზე ვრჩები.

***— „ყველანი ციხეში“, ასეთი ლოზუნგი გქონდათ...***

— ამას ვამბობდი სააკაშვილსა და მის ჯალათებზე. სააკაშვილი და მისი ჯალათები, ყველანი ციხეში.

***— რა შედეგს მივიღებთ, თუ არ მოხდება ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე პირების გასამართლება?***

— მაშინ დანაშაულები მომავალშიც გამეორდება.

პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება, ხალხის პარტიის ლიდერმა 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული დაბალი შედეგის გამო მიიღო.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში კობა დავითაშვილს ხმა მისცა, 0,5 %-მა.

კენჭისყრამდე კობა დავითაშვილმა განაცხადა, თუ ამ არჩევნებში 3%-ზე ნაკლებს მიიღებდა, პოლიტიკიდან წავიდოდა, რადგან ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ პოლიტიკაში მისი ადგილი აღარ იყო.

## პატრიარქი მარგველაშვილს: „ხალხი იმედით გიყურებთ და შევთხოვ ღმერთს, მოგცეთ ძალა ამ მოლოდინის გამართლებისა“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

„საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ხალხი იმედით გიყურებთ და შევთხოვ ღმერთს, მოგცეთ ძალა ამ მოლოდინის გამართლებისა. საქართველოს ახალ სივრცეში უწევს ადგილის დამკვიდრება, რაც რთული პროცესია. ვიმედოვნებთ, შეძლებთ უპასუხოთ დროის გამოწვევებს და ამასთან დაიცვათ ქვეყნის უმთავრესი ღირებულებები.

წყალობა ღვთისა არ მოგკლებოდეთ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისა, რათა ღირსეულად ემსახუროთ ჩვენს ქვეყანას და ხალხს“ — ნათქვამია პატრიარქის მილოცვაში.

ნიუსპრესი

## ნინო ბურჯანაძე: „არ დავუშვებთ,რომ ხელისუფლების მონოპოლიზაცია მოხდეს“



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, მისი სამომავლო პოლიტიკური გეგმების შესახებ აკეთებს განცხადებას და პირობას დებს, რომ თავად და მისი პოლიტიკური ძალა, ყველაფერს გააკეთებს, რათა ხელისუფლების მონოპოლიზაცია არ მოხდეს.

„ჩვენ არჩევნების მეორე დილიდანვე დავიწყეთ სერიოზული ანალიზი იმისა, რაც იყო არჩევნების დღეს. ახლა ჩვენი შტაბები გვაწვდიან ინფორმაციას, თუ როგორ იმუშავა სტრუქტურამ, რა არის შესაცვლელი იმისათვის, რომ ჩვენ ნებისმიერი გაყალბების ან მანიპულაციების მცდელობებს მომავალში, წინ აღვუდგეთ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ჩვენ პარტიის აქტიური გადაწყობა დავიწყეთ. უახლოეს ხანებში კი პარტიის ყრილობას ჩავატარებთ, სადაც პარტია, უკვე განახლებული სახით წარდგება.

მინდა ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენი აქტიური მომხრეა და ვინც ჩვენს რიგებში გაწევრიანებას აპირებს, დავარწმუნო იმაში, რომ ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სერიოზულად მოვემზადებით და სერიოზულ შედეგებსაც დავდებთ. ჩვენ წვლილს შევიტანთ იმაში, რომ ქვეყანა მაქსიმალურად ნორმალური გზით ვითარდებოდეს და არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს ხელისუფლების მონოპოლიზაცია, რაც ქვეყნისათვის დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მანვე თავის მხარდამჭერებს კიდევ ერთხელ მოუწოდა და განაცხადა, რომ ის ერთი წამითაც არ შეჩერდება იმ გზაზე, რასაც საქართველოს უკეთესი მომავლისთვის მოქმედება და ბრძოლა ჰქვია.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ომარ ნიშნიანიძე: „რა ერთი მასალით ხართ ნაციონალები გაკეთებული!“

## აურზაური პარლამენტის სხდომაზე



შორენა მარსაგიშვილი

**ერთთვიანი შესვენების შემდეგ საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მუშაობა განაახლა. შრომით და ღვაწლით გადაღლილმა დეპუტატებმა შესვენება საპატიო მიზეზით გამოაცხადეს. საკანონმდებლო საქმიანობა საპრეზიდენტო არჩევნების ხათრით შეაჩერეს. ნაარჩევნებს კი მუშაობას ჩვეული შემართებით შეუდგნენ.**

**უმცირესობაც და უმრავლესობაც თავს კარგად გრძნობს. მეოცნებეები არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებით ხარობდნენ. ნაციონალებს კი დავით ბაქრაძის მეორე ადგილი უნათებდა სულსა და გულს.**

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კოლეგებს 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება პლენარულ სხდომაზე მიულოცა.

— გილოცავთ არჩევნების მშვიდობიანად, სამართლიანად და იმ სტანდარტებით ჩატარებას, რომლისკენაც რამდენიმე წელია ისწრაფვის ქვეყანა. იმედია, მოვახერხებთ ამ სტანდარტის მომავალშიც შენარჩუნებას. არჩევნების მშვიდად ჩატარებაში ჩვენ, საქართველოს პარლამენტმა, რამდენიმე საკანონმდებლო გადაწყვეტილებით მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ. რაც ყველაზე მთავარია, შეიქმნა პოლიტიკური კლიმატი, რომელმაც ჩვენს მოქალაქეებს არჩევანის თავისუფლად გაკეთების საშუალება მისცა, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

უსუფაშვილმა კოლეგებს გუშინ ერთი უსიამოვნო ინფორმაციაც მიაწოდა. სპიკერის განცხადებით, საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს პრეზიდენტმა ვეტო დაადო. უსუფაშვილის ცნობით, პრეზიდენტის შენიშვნებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დღეს ან ხვალ განიხილავს და ვეტოს დაძლევის საკითხი პარასკევის სესიაზე გავა.

საუბარია კანონპროექტზე, რომელში შეტანილი ცვლილებებიც, თავის მხრივ, პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ასამოქმედებელ საკონსტიტუციო ნორმებს უკავშირდება.

დეპუტატები უკვე მიეჩვივნენ პრეზიდენტისგან ვეტოს დადებას. ამ დადებულ ვეტოს უპრობლემოდ ძლევენ და ამის გამო აღარც გუშინ უნერვიულიათ. მეოცნებეები თავიანთი ნაციონალი კოლეგების განცხადებებმა გაალიზიანა.

უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ უმრავლესობა და მთავრობა არჩევნების შემდეგაც ხელების გადაგრეხვით აპირებს ჩვენთან ურთიერთობასო.

— უმრავლესობა არჩევნების შემდეგ უმცირესობასთან არა მოლაპარაკებასა და თანამშრომლობას, არამედ ყველაზე კონფრონტაციული საკითხების, მათ შორის პარლამენტის გადატანის საკითხის განხილვას იწყებს. მე არ მინდა პრემიერისა და პრეზიდენტის ამ შეცდომებს დაემატოს კიდევ ერთი შეცდომა. ბიუროს სხდომის განხილვიდან როგორც შევიტყვეთ, არის ასეთი გეგმა, არა თანამშრომლობით დავიწყოთ არჩევნების შემდგომი პერიოდი, არამედ ყველა კონფრონტაციული საკითხებით გავხსნათ ეს სეზონი. არა ვისაუბროთ, არა კონსულტაციები გავმართოთ, არამედ ისევ ხელის გადაგრეხვით შევეცადოთ მოიპოვოთ ხელისუფლების ის დოზა, რომლის მანდატიც არ მიგიღიათ არჩევნებზე ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა. გინდათ მოასწროთ ინაუგურაციამდე ეს, ისევე, როგორც ქუთაისის საპარლამენტო პროექტის დასრულებაც. თუ ამ საკითხების გამოტანა მოხდა, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, უმრავლესობა და მთავრობა არაა ორიენტირებული სათანამშრომლოდ, რაც შეცდომა იქნება. რაც შეეხება პრემიერისა და პრეზიდენტის შეცდომებს, მათ შეურაცხყოფა მიაყენეს იმ ამომრჩეველს, რომელმაც მხარი დავით ბაქრაძეს დაუჭირა. არჩევნები არის ის მომენტი, როდესაც არსებობს ერთი კონკრეტული გამარჯვებული. ჩვენ გვქონდა იმედი, რომ ამ გამარჯვების შემდეგ მაინც გადადგამდა უმრავლესობა ნაბიჯს კონფრონტაციის დასასრულებლად. ამის საფუძველს არ გვაძლევს პრემიერ-მინისტრის სამწუხარო განცხადება, რომ საქართველოში არის დაბალი პოლიტიკური კულტურა. მან არა გამარჯვებულის, არამედ გულნატკენის პოზიციით ისაუბრა იმაზე, რომ არსებობს თურმე ათიათასობით ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც თავის არჩევანი აქვს და ამის გამო მათ შეურაცხყოფა მიაყენა და დაბალი პოლიტიკური კულტურა დასწამა. ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, რომელიც შუამავალი პირის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, თქვა, რომ არ ითანამშრომლებს ოპოზიციასთან. არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დემოკრატიისგან. ამ არჩევნებს, როგორც წინა სხვა არჩევნებს, ჰქონდა კარგი საერთაშორისო შეფასებები. თუმცა, სხვა არჩევნებისგან განსხვავებით, ამ არჩევნებზე არსებობდა ოპოზიცია, რომლის კამპანია არ იყო აგებული რევოლუციური და მთავრობის დამხობის მუქარაზე. იყო ოპოზიცია, რომელმაც ეგზიტპოლების გამოცხადებისთანავე შედეგები აღიარა და მიულოცა გამარჯვებულს, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებამ მეოცნებეებს შიშის ზარი მოჰგვარა. დეპუტატი მათ დაემუქრა, რომ ნაცმოძი მალე დაბრუნდება.

— ნაციონალური მოძრაობა ბრძოლას აგრძელებს, ის აუცილებლად დასრულდება გამარჯვებით და გეშინოდეთ ამის, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

მართალია, არჩევნებში მათმა კანდიდატმა მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ თაქთაქიშვილი მაინც კმაყოფილია. საამისოდ კი რამდენიმე მიზეზი აქვს.

— 27 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა ბიძინა ივანიშვილს გზავნილი გაუგზავნა იმის თაობაზე, რომ მათი განადგურების მცდელობა — ოცნებაა.

ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებმა გაუძლეს ზეწოლას, დაჭერებს, ძალიან ბევრ უკანონობას და 27 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილს გაუგზავნეს გზავნილი, რომ მისი ოცნება გაანადგუროს „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩება აუხდენელ ოცნებად, ისე როგორც 76 დაპირება. ჩვენ მზად ვარ გავაგრძელოთ ბრძოლა, რომელიც დამთავრდება გამარჯვებით და გეშინოდეთ ამის. საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს, ეს გახლავთ ძალიან ლოგიკური გაგრძელება იმ დადებითი შეფასებებისა, რომელიც „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული დამკვიდრდა. როცა ამ შედეგებზე საუბრობთ, ყურადღებიდან გრჩებათ მნიშვნელოვანი განსხვავება — როგორ იქცეოდა ოპოზიცია 2009 წელს, 2010 წელს, 2012 წელს და როგორც იქცეოდა წელს — მათგან განსხვავებით ნაციონალური მოძრაობა არ ცდილობდა სამხედრო ძალის, რუსეთის ძალის დახმარებით გადატრიალება მოგვეწყო, ჩვენ არ გაგვიცხადებია, რომ არ ვაღიარებდით არჩევნების შედეგს თუ დავმარცხდებოდით, არ გამოგვიცხადებია უნდობლობა საარჩევნო კომისიის მიმართ, თავს არ დავესხმივართ საოლქო კომისიებს, რასაც თქვენ აკეთებდით სამარცხვინოდ 2012 წელს. ჩვენი ეს არჩევანი გახდა სწორედ ამ დადებითი შეფასებისა და არა ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში გასაოცარი დემოკრატია დაამყარა. ძალიან სავალალოა, რომ ოპოზიციის ასეთი კონსტრუქციული ქმედებების მიუხედავად, ხელისუფლება არჩევნებს შეხვდა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის დაპატიმრებით და არაერთი თანამდებობის პირის წინააღმდეგ აღძრული სრულიად უკანონო საქმეებით. ჩვენ ათეულობით მომხრის დაკითხვის ფონზე შევხვდით ამ არჩევნებს, ეს სამარცხვინოა, — სიამაყით აღნიშნა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ჩიორა თაქთაქიშვილის მსგავსად ფიქრობს გიორგი კანდელაკიც. მისი თქმით. არჩევნების დღის სიწყნარის მთავარი მიზეზი „ნაციონალური მოძრაობა“ იყო

— მინდა ხაზი გავუსვა, რა იყო არჩევნების დღის სიწყნარის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი — მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს ჰყავს ოპოზიცია, რომელიც არ მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ, ხელისუფლების დამხობისკენ, არამედ ხელმძღვანელობს სახელმწიფო ინტერესებით. მინდა გავიზიარო იმედი, რომ ეს არჩევნები იქნება საწინდარი ახალი დასაწყისისა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, საწინდარი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა წავა წინ. იმედია ჩვენი კოლეგები დარწმუნდებიან, რომ დროა თავიანთი ფოკუსი ანგარიშსწორების კამპანიიდან ქვეყნის მართვა-გამგეობაზე გადართონ. არგუმენტები, რითაც ცდილობდნენ გამართლებას, თუ რატომ არ შესრულდა არც ერთი დაპირება, იყო კოჰაბიტაცია და დღეს ეს აბსურდული არგუმენტიც აღარ არსებობს — ბურთი და მოედანი თქვენს ხელშია და ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, რომ კონსტრუქციულად გავაკონტროლოთ თქვენივე დაპირებების შესრულება, — აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

მეოცნებე დეპუტატი ეკა ბესელია მოვლენებს, ბუნებრივია, სხვანაირად აფასებს. ბესელია იმასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების განცხადებები ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის. ბესელია კმაყოფილი იმით, რომ ნაციონალების მიერ დანერგილი შიში წარსულს ჩაბარდა.

— სააკაშვილმა, როგორ იქნა, წასვლის წინ აღიარა, რომ ის თურმე მონაწილე იყო და მისი გუნდი ჩადიოდა დანაშაულებრივ ქმედებებს და თურმე ძალადობის მსხვერპლნი არსებობენ ქვეყანაში. მან დაასახელა კონკრეტული უწყებები. როცა ამ უწყებების თანამდებობის პირებზეა საუბარი და თქვენ მათზე, როგორც პოლიტიკურ პატიმრებზე, საუბრობთ, აქ ისმევა კითხვები, როგორ არის ერთმანეთთან თანხვედრაში თქვენი და თქვენი პრეზიდენტის განცხადებები? მაშინ ვინ ჩადიოდა იმ ძალადობასა და სისასტიკეს? 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ ქვეყანაში შიში დასრულდა. ბესელიას განცხადებით, ეს იგრძნო ყველამ, მათ შორის სამეგრელოს რეგიონმა. სამეგრელოს, სადაც თქვენი პოლიტიკური ძალა დათარეშობდა და ასეთ საშინელებებს სჩადიოდა, კიდევ დიდი ხანი დასჭირდება მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. არჩევნებმა აჩვენა, რომ ძალადობრივი პოლიტიკა, რომელიც სამეგრელომ იწვნია, წარსულს ჩაბარდა, — აღნიშნა ბესელიამ.

ნაციონალმა აკაკი მინაშვილმა ეკა ბესელიას ფეოდალი უწოდა. მისი თქმით, ფოთის მაჟორიტარი ბესელია, ფოთის ფეოდალად იქცა.

— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა კადრები, რომელშიც თქვენ ემუქრებით და ზეწოლას ახორციელებთ ფოთის მერზე. თქვენ ხართ მაჟორიტარი დეპუტატი, მაგრამ უფლებრივად არ ხართ მერის ხელმძღვანელი. ესაა დაშინება და ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობაში ჩარევა. არის განცდა, რომ თქვენ ხართ ბატონ-პატრონი, ფეოდალი იმ ადგილზე და ამაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს, — მიმართა მინაშვილმა ბესელიას.

მას მარტო ბესელიაზე არ უსაუბრია. მინაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებიც შეაფასა. ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლებს კი ჯიგრული მადლობა გადაუხადა. მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მათ „ქართულ ოცნებას“ აღნიშნული პოლიტიკური ძალის განადგურების საშუალება არ მისცეს.

უმცირესობის წევრმა გიორგი ვაშაძემ კი სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი ზაფხულის მერე გაორმაგდა.

— ვფიქრობდი, რომ ამ არჩევნების შემდეგ განსხვავებული სიტუაცია იქნებოდა, რადგან დროა საქართველოში დამთავრდეს დაპირისპირება, კინკლაობა. დროა საქმის კეთება დავიწყოთ და ჯანსაღი ოპონირება გვქონდეს. მე იმედს ვიტოვებ, რომ ეს არჩევნების ციებ-ცხელება მალე გაივლის და ზედაპირული საუბრის შემდეგ გადავალთ საქმის კეთებაზე. უმრავლესობის წევრებს შევახსენებ, რომ ზაფხულის შემდეგ ჩვენი რეიტინგი გაორმაგდა და მზარდი რეიტინგი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. ჩვენ ვართ ძირითადი ალტერნატივა „ქართული ოცნების“ და დარწმუნებული ვარ, რომ მნიშვნელოვან როლს ვითამაშებთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იზრდება უმუშევრობა. ბიუჯეტში პრობლემებია და მას წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, 500-600 მილიონი დააკლდება, რაც არის დიდი პრობლემა. ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ ვალდებულებებს ვერ აფინანსებს ბიუჯეტი. ჩვენ წარმოგვიდგინეს ახალი ბიუჯეტი, სადაც უზარმაზარი პრობლემაა. უპრეცედენტოდ დიდ ვალს იღებს სახელმწიფო, რაც რთული იქნება გასასტუმრებლად. მე იმედი მაქვს, რომ უფრო მკაფიო პოლიტიკა ექნება სახელმწიფოს ეკონომიკის მიმართულებით. ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით საქართველო გადავიდა მეცხრედან მერვე ადგილზე. ეს არის 2012 წელს ჩვენ მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგი. ასევე მინდა შეგახსენოთ, წინაასაარჩევნოდ არაერთხელ ვამბობდით, რომ რეგულაციები საქართველოში უნდა იყოს მარტივი და გთავაზობთ, რომ არჩევნების ციებ-ცხელების გადავლის შემდეგ მივუბრუნდეთ ამ საკითხს და მივიღოთ კანონი, სადაც ჩვენ ვიტყვით, რომ არც ერთ რეგულაციას არ გავართულებთ ბიზნესისთვის. ეს იქნება ძალიან კარგი მესიჯი მას შემდეგ, რაც პარლამენტში მიღებული იქნა ძალიან ბევრი კანონი, რომელმაც გაართულა ბიზნესის კეთების რეგულაციები საქართველოში. მე იმედს ვიტოვებ, რომ საქართველო გააგრძელებს ამ პროგრესს, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია სამუშაო ადგილებთან. კარგი იქნება, ასევე თუ დავიწყებთ გადასახადების შემცირებისა და დეკრიმინალიზაციის განხილვას, — განაცხადა ვაშაძემ.

პავლე კუბლაშვილი კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო არის შეწუხებული. მისი თქმით, ბევრ ქვეყანაში კოჰაბიტაციის დასრულების სლოგანი პოლიტიკოსების მხრიდან არ იქნებოდა გამოყენებული.

— იმ სლოგანს, რომელიც გამოყენებული იყო არჩევნების დროს კოჰაბიტაციის დასრულებაზე, მე ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში არ გამოიყენებდნენ. არა იმიტომ, რომ სხვადასხვაგვარი გზა გვაქვს განვლილი, არამედ იმიტომ, რომ უფრო მეტი გამოცდილება შეიძლება ჰქონდეთ დაგროვებული სხვა ქვეყნებს. ჩემი სურვილია, რომ გამოვიყენოთ არჩევნები იმისთვის, რომ პოლიტიკური კინკლაობისგან გადავიდეთ საქმის კეთებაზე, — განაცხადა კუბლაშვილმა.

განსაკუთრებით ემოციური გამოსვლა ჰქონდა უმრავლესობის წევრს ომარ ნიშნიანიძეს. ის ნაციონალების გუშინდელმა განცხადებებმა ძალიან გააბრაზა.

— რა ერთი მასალით ხართ ყველა გაკეთებული, — ასე მიმართა აღშფოთებულმა ნიშნიანიძემ.

აღშფოთებულმა ნიშნიანიძემ სხდომაზე გამოსვლისას კიდევ ერთხელ გააპროტესტა ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია.

— არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებასთან ერთად, მოსალოცია მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გასტუმრება. მხეცური ინსტიქტებით შეპყრობილი ადამიანის ნაცვლად, ჩვენ პრეზიდენტად ადამიანი ავირჩიეთ, — განაცხადა ნიშნიანიძემ.

ნიშნიანიძეს უმცირესობის წევრების ბრალდებებიც არ დარჩენია პასუხგაუცემელი.

— ბიუჯეტის ვირთხებს, რომლებიც ჩვენ თვალწინ არიან, როგორ აქვთ უფლება, ბიუჯეტის ავკარგიანობაზე ილაპარაკონ?! მათ ხალხის ბიუჯეტი საკუთარი ჯიბის ფული ეგონათ, საკუთარი ოჯახების, საყვარლების „საგულაოდ“ იყენებდნენ. ქვეყნის პრეზიდენტი ჰარამხანით აღმა-დაღმა „დაგულაობდა“. გაიხსენეთ ლისაბონის მაგალითი, როდესაც იქ გამართულმა თქვენმა ორგიებმა მთელი ევროპა შეძრა. ამ რამდენიმე ხნის წინ, როცა კომიტეტში ბიუჯეტის პროექტი იხილებოდა, გიორგი თევდორაძის და გიორგი ვაშაძის გამოსვლა უპასუხისმგებლობის კლასიკური მაგალითი იყო — მათ სიცრუის კორიანტელი დააყენეს და პასუხის მოსასმენად არ მოიცადეს. ატეხეს ერთი ხარხარი, ქოთქოთი და კომიტეტის სხდომიდან გაიქცნენ. გიორგი თევდორაძეს, რომელიც ქუთაისის მერი იყო, ქალაქისთვის არაფერი გაუკეთებია, კვლავ მოუწესრიგებელია წყლისა და კანალიზაციის სისტემები და ადამიანები პირველყოფილებივით ბუჩქებში დადიან, — განაცხადა ნიშნიანიძემ.

ნიშნიანის გამოსვლამ ნაციონალები მსუბუქად აანერვიულა. მეოცნებეები კი სიცილით იგუდებოდნენ. მისი გამოსვლა არ მოეწონა პარლამენტის სპიკერს. უსუფაშვილმა კოლეგას მიმართა და სთხოვა, რომ პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, შესაძლებელია პოზიციების ისეთი ტერმინების გარეშე დაფიქსირება, როგორიცაა „ჰარამხანა“ და „საყვარელი“.

### სააკაშვილი ბრიუსელში კონფერენციას დაესწრო



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კონრად ადენაუერის ფონდის მიწვევით, ბრიუსელში გამართულ კონფერენციას დაესწრო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქვეყნის პირველი პირი დამსწრე საზოგადოებას ფონდის თავჯდომარემ სტეფან გეჰროლდმა წარუდგინა. მან სააკაშვილის წარსულ საქმიანობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ იგი პროდემოკრატი და პროგრესული პოლიტიკოსი გახდა.

სააკაშვილი კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და საქართველოში ჩატარებულ არჩევნებსა და მისი მართველობის პერიოდში განხორციელებულ რეფორმებსა და მიღწეული შედეგების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მოგვიანებით, ოფიციალური ვახშამი შედგა, სადაც ექსპერტებსა და დიპლომატებს პრეზიდენტისთვის შეკითხვების დასმის საშუალება მიეცათ. ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები, ექსპერტები, პოლიტოლოგები და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ .

**ნიუსპრესი**

# მთავრობა მარგველაშვილის ინაუგურაციისთვის ემზადება

ნათია ხურცილავა



**რიგით მეოთხე პრეზიდენტი უკვე არჩეულია. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია 17 ნოემბერს გაიმართება. კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ პრეზიდენტის ინაუგურაცია ქვეყნის მთავარ გამზირზე რუსთაველზე, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ უნდა გაიმართოს.**

**ინაუგურაციის დღეს საქართველოს პრეზიდენტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გვირგვინით ამკობს ილია ჭავჭავაძის საფლავს. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი და თანმხლები პირები შემოივლიან პანთეონს.**

საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია ტარდება საქართველოს პარლამენტის შენობაში, სადაც პრეზიდენტის ფლიგელის ფოიეში საქართველოს პრეზიდენტსა და მისი ოჯახის წევრებს ხვდებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ცერემონიალს ესწრებიან მოწვეული უცხოელი სტუმრები, საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ცერემონიალზე დასწრების მსურველთა რიცხვი დიდია.

მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია მისი წინამორბედი პრეზიდენტის ინაუგურაციისგან განსხვავებით, მოკრძალებული იქნება. ცნობილია, რომ სიმბოლიკები, მკაცრად გაწერილი ცერემონიალი არ იქნება.

უცნობია, თუ ვინ იქნება სამხატვრო ხელმძღვანელი. თუმცა, მოკრძალებულ ცერემონიალს, როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მაია ფანჯიკიძემ გვითხრა, აუცილებლად ეყოლება რეჟისორი, რომელიც 17 ნოემბრის ინაუგურაციის ცერემონაიალს დადგამსო.

ინაუგურაციაზე მიწვეული იქნება თუ არა მიხეილ სააკაშვილი, ეს უცნობია. საქართველოში ჯერჯერობით წინამორბედისგან პრეზიდენტის მოვალეობის გადმობარების ტრადიცია ცნობილ მიზეზთა გამო არ არსებობს. პრეზიდენტის პოსტზე ახლად არჩეული მარგველაშვილი კი პირობას დებს, რომ მის შემდგომ პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მიწვეული აუცილებლად იქნება.

ინაუგურაციის კომისიის შემადგენლობა უკვე ცნობილია. კომისიის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იქნება, მისი მოადგილე კი – საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

კომისიის შემადგენლობაში შემდეგი მინისტრები არიან წარმოდგენილი: ფინანსთა, შინაგან საქმეთა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საგარეო საქმეთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და თავდაცვის მინისტრები.

კომისიის პირველი სხდომა გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა.

სხდომას სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ და მათ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ხელმძღვანელობდა. როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა განაცხადა, ჩაერთვება თუ არა რეჟისორი ღონისძიების ორგანიზებაში, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სახელმწიფო ჰიმნი შესაძლოა, ოპერის თეატრის ორკესტრმა და კაპელამ შეასრულოს. მანანა ბერიკაშვილმა პრესას განუცხადა, რომ ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, თუ როგორი იქნება ინაუგურაციის კულტურული ნაწილი.

საინაუგურაციო კომისიის სხდომაზე საგარეო საქმეთა სამინისტროში ბერიკაშვილთან ერთად სამინისტროში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე ირინე იმერლიშვილი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი იმყოფებოდნენ.

როგორც სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს ირაკლი გეგეჭკორმა განუცხადა, ინაუგურაციის სამხედრო კომპონენტის ფორმატი ჯერ განსაზღვრული არ არის, თუმცა შედარებით შემჭიდროვებული ვარიანტი განიხილება.

რა ფორმით იქნება ჩართული სპორტის სამინისტრო ღონისძიების ორგანიზებაში მინისტრმა ლევან ყიფიანმა ჯერ არ იცის. მისი თქმით, ამას მაია ფანჯიკიძე გადაწყვეტს.

პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სამხედრო კომპონენტი აუცილებლად იქნება წარმოდგენილი. ეს განცხადება თავდაცვის მინისტრმა გააკეთა.

როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გვითხრა, რამდენად მასშტაბური იქნება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია, ამას კომისია გადაწყვეტს.

პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა. როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, ინაუგურაციის საორგანიზაციო საკითხებზე სპეციალური კომისია იმსჯელებს.

– ცხადია, ინაუგურაციისთვის საჭირო იქნება სახსრების გამოყოფა. უნდა გაკეთდეს კომისია, რომელიც ღონისძიებებს ჩამოთვლის. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ პრეზიდენტის ფონდში ფული აღარ არის, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის თანხების გამოყოფა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოგვიწევს. – განაცხადა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, მომავალი 2 თვის განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი აღარ იარსებებს, რადგან მიხეილ სააკაშვილმა მთელი წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები სრულად გამოიყენა.

# სოზარ სუბარი: „სააკაშვილი საზოგადოებას და სასამართლოს უპირისპირდება“

ნათია ხურცილავა



პრეზიდენტი სააკაშვილი დარჩენილ ვადას იმ უფლებისთვის იყენებს, რომელსაც მას, როგორც პრეზიდენტს კონსტიტუცია ანიჭებს და პატიმრობა მისჯილ პირებს, შეიძლება ითქვას, პანტაპუნტად იწყალებს. შეწყალებულთა სია გრძელია. ეკუთვნით თუ არა ამ ადამიანებს შეწყალება? ეს არის კითხვა, რომელიც ისმის. თუ პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს?

სასჯელაღსრულების მინისტრი აცხადებს, რომ სააკაშვილი ამ ფორმით ღიად ერევა სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებაში. მინისტრი პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალებებს სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევად აფასებს.

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მიმართული ხალხის ნებისა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ.

– ბუნებრივია, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, როდესაც ადამიანს, რომელსაც გუშინ სასამართლომ სასჯელი მიუსაჯა და მეორე დღეს პირდაპირ ციხიდან გუბერნატორად ინიშნება, როგორც ეს სამეგრელოს გუბერნატორის შემთხვევაში მოხდა, ეს პირველ რიგში, არის პოლიტიკური ბრძოლა, სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. როდესაც ადამიანს ერთი დღე არ გაუტარებია საპყრობილეში და ასეთი პიროვნების შეწყალება ხდება, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და უნდობლობაა იმ სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რითიც წლების განმავლობაში თავად ამაყობდა. ეს არის პირდაპირი ჩარევა სასამართლოს ხელისუფლებაში. მართალია, პრეზიდენტს კანონით ამის უფლება აქვს, მაგრამ მორალურად სრულიად გაუმართლებელია. შეწყალებას თავისი წესი აქვს. – განაცხადა სუბარმა.

მისივე თქმით, ასევე, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, როდესაც ხდება ისეთი ადამიანის შეწყალება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა, სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა და ძებნილია.

– როდესაც ასეთი ადამიანის შეწყალება ხდება, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მიმართული ხალხის ნებისა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. – განაცხადა სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრმა, სოზარ სუბარმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ სააკაშვილი უნდობლობას უცხადებს იმ სასამართლოს, რომელსაც წლების განმავლობაში საამაყოდ მიიჩნევდა.

– მართალია, პრეზიდენტს კანონმდებლობით შეწყალების უფლება აქვს, მაგრამ მორალურად მისი გადაწყვეტილება გაუმართლებელია. – მიიჩნევს სოზარ სუბარი.

## სერგეენკო პრემიერის პოსტზე მისი კანდიდატურის განხილვას არ ადასტურებს



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისი კანადიდატურის განხილვას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ამის თაობაზე მას არანაირი შეთავაზება არ მიუღაია.

„ამის შესახებ არც ოფიციალური შემოთავაზება მიმიღია და არც არაოფიციალური. რთული სათქმელია ჩემთვის და აბსოლუტურად გულწრფელად გპასუხობთ, რომ ამაზე მსჯელობისთვის ახლა მზად არ ვარ. ამაზე საუბარი იქნება კოალიციის საბჭოზე, რომელიც პარასკევს გაიმართება“ – განაცხადა დავით სერგეენკომ.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აღნიშნული თანამდებობის დატოვებას ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ადაახლოებით ერთ კვირაში აპირებს. მისი შემცვლელის კანდიდატურას კი, სავარდუდ, შაბათს დაასახელებს.

**ნიუსპრესი**

# რა უფლებები ექნებათ გუბერნატორებს

ნათია ხურცილავა



მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ერთ-ერთი საკითხი საიდუმლო იყო. საიდუმლო საკითხი პრესისთვის ბოლომდე საიდუმლო დარჩა. ჟურნალისტებს კანცელარიის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ საიდუმლო იმიტომაა, რომ საიდუმლოდ უნდა დარჩესო, თუმცა, იქვე გვითხრა ისეთი არაფერიო.

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე არც გუბერნატორების საკითხზე არ უმსჯელიათ. რეგიონული განვითარების მინისტრმა გვითხრა, რომ სხდომაზე გუბერნატორების კონკრეტული კანდიდატურების საკითხი არ განუხილავთ. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, განიხილეს დებულება, რომელშიც ახალი გუბერნატორების ადმინისტრაციის უფლებამოსილება მკაფიოდ იქნა გაწერილი.

– ეს მთავრობის დღის წესრიგით გათვალისწინებული არაა, თუმცა მექანიზმებთან დაკავშირებით, შეიძლება, იყოს საუბარი, რადგან ჩვენ კანცელარიასთან ერთად ტიპურ დებულებას ვამუშავებთ, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ახალი გუბერნატორების ადმინისტრაციის უფლებამოსილება უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი, ვიდრე აქამდე იყო. შეიძლება, ამაზე იყოს საუბარი და არა კონკრეტულ კანდიდატებზე, რადგან ამას უფრო მეტი კონსულტაცია და დრო სჭირდება. – განაცხადა ნარმანიამ.

მთავრობის სხდომაზე, როგორც დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, სამხარეო ადმინისტრაციის რეფორმირების საკითხზე ისაუბრეს. მინისტრის თქმით, მას შემდეგ, რაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება, სამხარეო ადმინისტრაციის უფლებამოსილება უფრო მეტად გაიზრდება და ახალი რეგულაციების შემოღება მოხდება.

– იმისთვის, რომ სამართლებრივი ვაკუუმი არ არსებობდეს, ინაუგურაციის შემდგომ რა კანონმდებლობაც ამოქმედდება, მთავრობა გუბერნატორებს იმის შესაბამისად ამტკიცებს, მაგრამ როგორი უნდა იყოს მათი უფლებამოსილება, ეს არ არის მოქმედი კანონმდებლობით გაწერილი და ამ ტიპურ დებულებაში სწორედ ეს გაიწერება, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიცდება. – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, გარდამავალ პერიოდში გუბერნატორი უნდა იყოს კომუნიკაციის ფუნქციით აღჭურვილი და იგი რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი უნდა იყოს. ცნობილი გახდა, რომ ახალი გუბერნატორების დანიშვნამდე მათ უფლებამოსილებას მოადგილეები შეასრულებენ.

როგორც ნარმანიამ განაცხადა, მთავრობის სხდომაზე ახალი გუბერნატორების კანდიდატურებზე საუბარი არ ყოფილა და ამ თემასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

– იმ ცვლილებების ძალაში შესვლამდე, რომლის ერთი ნაწილი გუბერნატორების დანიშვნის წესს ეხება. იმ გუბერნატორების უფლებამოსილებას, რომლებმაც თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებები დაწერეს, მათი მოადგილეები შეასრულებენ. როდესაც საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევა, ამ დროისთვის მთავრობის სხდომაზე გუბერნატორების ადმინისტრაციასთან დაკავშირებული დებულებების პროექტები გვექნება დამტკიცებული და ამ ყველაფრის საფუძველზე, კონსულტაციების შედეგად, ახალი გუბერნატორები დაინიშნებიან. – განაცხადა ნარმანიამ და დასძინა, რომ მთავრობის სხდომაზე კონკრეტული კანდიდატების შესახებ საუბარი არ ყოფილა.

ნარმანიამ პრეზიდენტის მიერ სარეზერვო ფონდის გახარჯვის საკითხზეც ისაუბრა. ის აცხადებს, რომ პრეზიდენტმა საარჩევნო კანონმდებლობა დაარღვია და ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა.

ნარმანიას თქმით, პრეზიდენტს წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებამდე ბოლო ორი თვის განმავლობაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების უფლება არ ჰქონდა.

მინისტრის განცხადებით, პრეზიდენტის ფონდი დამტკიცებულია სახელმწიფო ბიუჯეტით. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი ძალაში 1 იანვრიდან შევიდა და პრეზიდენტს შეეძლო, ეს თანხა 1 იანვრიდან ეხარჯა.

– შესაბამისად, მას ეს თანხა 2013 წლის 1 იანვრიდან დღემდე პერიოდში აქვს დახარჯული. – აღნიშნავს ნარმანია.

ნარმანია აცხადებს, რომ საოკუპაციო ხაზთან მდებარე რამდენიმე ოჯახს წინა ხელისუფლებამ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო დაზიანებული სახლები არ აღუდგინა“.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა რამდენიმე ოჯახი, რომლებმაც ვერც კომპენსაცია მიიღეს და მათ არც სახლები აუშენეს, რადგან ისინი „ქართული ოცნების“ მომხრეები იყვნენ.

მინისტრის თმით, მონიტორინგის შედეგები საგამოძიებო ორგანოებში იქნება გადაგზავნილი.

– მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე ოჯახს აღუდგეს ის სახლები, რომლებიც დაუზიანდა და ამაზე ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციებს მხარდაჭერა ვთხოვეთ. ვმუშაობთ საჯარო ფუნქციების აღსრულებაზე და ამ სოფლების მხარდაჭერაზე, როგორიცაა გაზის შეყვანა, ზამთრის პერიოდთან დაკავშირებით, სათბობით უზრუნველყოფა, წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გზები, საირიგაციო სისტემა და ასე შემდეგ. – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

# სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა“

## რაში დახარჯავენ ნაციონალები უკანონოდ ნაშოვნ მილიარდებს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***– როგორია თქვენი შეფასებები არჩევნებთან დაკავშირებით? რამდენად ეკუთვნოდა ნაციონალურ მოძრაობას მეორე ადგილი? რამდენად რეალურია ეს 20%?***

– არჩევნებთან დაკავშირებით გაორებული გრძნობა მაქვს. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, გახარებული ვარ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა და ამ გზით მოხდა სააკაშვილის ავტოკრატიული და მანიაკალური მმართველობის შეცვლა და ძალიან გახარებული ვარ ამით და არა მარტო მე, არამედ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. თუმცა მეორე მხრივ, მაქვს ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და შეშფოთების მიზეზი იმასთან დაკავშირებით, რომ დამნაშავე ძალა, ფაქტობრივად დაკანონდა, როგორც პოლიტიკური ოპოზიცია. ჩემი ღრმა რწმენით ეს არის საკმაოდ რთული, საკმაოდ სახიფათო და საკმაოდ საშიში მოვლენა არა მარტო დღეს, არამედ უახლოეს მომავალში.

***– რაში ხედავთ საშიშროებას?***

– ამით, პირველ რიგში, უარი ეთქვა სამართლიანობის აღდგენას. მეორე მხრივ, საშიში არის იმით, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე შემოიყვანეს ისეთი ძალა, რომელსაც გააჩნია განუზომელი ფინანსები. მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჩვენზე წართმეული, უკანონოდ მოპოვებული ქონება აქვს, რომელიც არის რამდენიმე მილიარდი და ეს ქონება არაფრით არ ჩამოუვარდება ბიძინა ივანიშვილის ქონებას. საკმაოდ დიდი ფული აქვთ მათ იმისათვის, რომ თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობა აწარმოონ. მესამე, რაც ყველაზე მთავარია, ეს არის ავანტიურისტებისგან, საქართველოს მტრებისგან შემდგარი ბანდა, რომელი ბანდაც ყოველთვის ყველაფერს იზამს იმისათვის, რომ ნებისმიერი ხერხით უკან დაიბრუნოს ის წართმეული ძალაუფლება, როგორც ისინი თვლიან, რომ მათ წაართვეს ძალაუფლება, მაგრამ რეალურად ხალხისთვის დაბრუნებული ძალაუფლება, რომელიც მათ ჰქონდათ და რომლითაც 9 წლის განმავლობაში განუსაზღვრელად სარგებლობდნენ. მე ვფიქრობ, რომ ქართულმა ოცნებამ ამითი საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვა.

***– შეცდომაში რას გულისხმობთ?***

– მოდით, განვსაზღვროთ ჩვენ ივანიშვილის მოღვაწეობა, პირდაპირ ვთქვათ, რომ ივანიშვილმა, რა თქმა უნდა, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მოკლე ხანში, საკმაოდ ბევრი კარგი რამ გააკეთა. მარტო ის რად ღირს, რომ ნაციონალური მოძრაობა დაამარცხა, ამავე დროს მედია გათავისუფლდა, დემოკრატიული პროცესები დაიწყო, ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობაში და სხვა სფეროში. ანუ მისი ყველა ნაბიჯი თანმიმდევრული იყო და დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა ამ ფონზე, მე ვთვლი, რომ შეცდომა იყო და შეცდომა არის ის, რომ არ ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ამ არჩევნებით ისტორიულ სანაგვეზე არ მიეჩინა თავისი „დამსახურებული“ ადგილი ნაციონალურ მოძრაობას და პირიქით, ხელოვნური კოჰაბიტაციის პირობებში მოხდა დამნაშავე ძალის პოლიტიკურ ოპოზიციად ჩამოყალიბება. მე ვფიქრობ, რომ ეს არის უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, რომელიც თავის შედეგებს აუცილებლად გამოიღებს უახლოეს ხანებში და ჩემი ღრმა რწმენით, ეს არ იქნება კარგი შედეგები.

***– თქვენი აზრით, როგორ მოახერხა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ეს შედეგი ეჩვენებინა? რეალურად ჰყავთ მხარდამჭერები თუ გაყალბებით შეძლეს ამ პროცენტის ჩვენება?***

– რა თქმა უნდა, ნაციონალების მხრიდან გაყალბების რაღაცა მცდელობებიც იყო, იმიტომ, რომ ჩვენ კარგად ვნახეთ, აჭარაში თუ რამდენი ყალბი პირადობის მოწმობები ამოიღეს აჭარის ყოფილი კონსტიტუციური დეპარტამენტის უფროსის სახლიდან. მსგავსი ყალბი დოკუმენტები სხვა რაიონებშიც იქნებოდა. მაგრამ ეს არ არის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი, გადამწყვეტი არის ის, რომ ფაქტობრივად ამომრჩეველთა 56%-მა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. ანუ არჩევნებში რეალურად მივიდა 44% ამომრჩეველთა საერთო სიისა. ამ 44%-დან ჩვენ ვიცით, რომ ქართულ ოცნებას მხარი დაუჭირა 62%-მა, ნაციონალურ მოძრაობას 21%-მა. თუკი გადავიანგარიშებთ ამ პროცენტებს, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან, დაახლოებით 25%-მა მისცა ქართული ოცნების კანდიდატს ხმა და დაახლოებით 7%-მა მისცა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს ხმა. ნაციონალურმა მოძრაობამ ყველა სხვა კანდიდატისგან განსხვავებით ფაქტობრივად მოახერხა ის, რომ 100%-ით უზრუნველყო თავისი მხარდამჭერების მიყვანა საარჩევნო ყუთებთან. აი, სწორედ ამ ფაქტორმა და ამომრჩეველთა დაბალმა აქტივობამ გამოიწვია ის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ აჩვენა მისთვის წარმოუდგენელი შედეგი. თუმცა რომ ჩატარებულიყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას 5%-იანი ბარიერის გადალახვაც გაუჭირდებოდა. მთელი ამდენი ხნის განმავლობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, კოალიციაში შემავალი ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის ხელოვნურად გადარჩენა და გაძლიერება. ამანაც, რა თქმა უნდა, სერიოზული დაღი დაამჩნია საარჩევნო პროცესს. აი, ეს ფაქტორები გახდა გადამწყვეტი იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა გასულიყო მეორე ადგილზე და ამითი თავის თავის დაკანონება მოეხდინა, როგორც პოლიტიკური ოპოზიციისა. თუმცა მე ვთვლი, რომ უახლოეს ხანებში ნაციონალურ მოძრაობას მაინც იმ ადგილს აპოვნინებს საქართველოს მოსახლეობა, რომელიც მას ეკუთვნის. ეს არ არის არანაირად პოლიტიკური ოპოზიციის ადგილი, მისი ადგილი არის პოლიტიკურ სანაგვეზე. რადგან არ შეიძლება პოლიტიკურ სივრცეში არსებობდეს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არაერთ სისხლის სამართლის დანაშაულშია მხილებული.



***– თქვენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობდით და ეს საკითხი დღის წესრიგში ისევ დგას. როგორ ფიქრობთ, წავა ამაზე ხელისუფლება?***

– აქამდე ამაზე არ წავიდა ხელისუფლება. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ნაციონალების 20% არის იმის ბრალი, რომ ხელისუფლებამ პირველი ოქტომბრის გამარჯვების შემდგომ არ დანიშნა ახალი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ეს მოხდა სწორედ ამ მცდარი ნაბიჯის გამო. ახლა მომავალში რას იზამს ხელისუფლება, ეს ცოტა ძნელი გასარკვევია, რადგანაც ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ იქნება ხელისუფლება რეალურად. ვიცით, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილია, მაგრამ მარგველაშვილს, როგორც პრესიდენტს, არა აქვს არანაირი ძალაუფლება იმისა, რომ ქვეყანა მართოს.

***– ანუ ველოდებით პრემიერს?***

– დიახ, ვინ იქნება პრემიერი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვიცით, რომ რეალურად ორი კანდიდატურა განიხილება, ეს არის სერგიენკო და ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, პირადად ჩემი ასარჩევი რომ იყოს, უპირობოდ, უპირატესობას მივანიჭებდი ირაკლი ღარიბაშვილს. იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის შემდგომ, ერთადერთი, მინისტრთა კაბინეტიდან, ვისაც შეუძლია სიტუაციის დაჭერა და სიტუაციის მართვა ქვეყანაში, ეს არის ირაკლი ღარიბაშვილი, თავისი მოღვაწეობით და თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე. მე ვერ ვიტყვი, რამდენად დაემთხვევა ჩემი და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გემოვნება ერთმანეთს, მაგრამ მე რომ ვიყო ივანიშვილის ადგილზე, რა თქმა უნდა, უპირობოდ მხარს დავუჭერდი ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურას. მე ვფიქრობ, რომ სერგიენკო-მარგველაშვილის ტანდემი იქნება ძალზე სუსტი. იმიტომ კი არა, რომ მე მარგველაშვილს ან სერგიენკოს ვაყენებ შეურაცხყოფას, რა თქმა უნდა, ისინი თავიანთ სფეროებში და თავიანთ სამოღვაწეო არეალში არიან წარმოჩენილები, მაგრამ როგორც ქვეყნის მმართველებმა, მე არა მგონია, რომ მათ გაართვან თავი ქვეყნის მართვას, ისე ან მასთან მიახლოებულად, როგორც ამას აკეთებდა ივანიშვილი. აქ განსასაზღვრია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ალმასრულებელი, ისე საკანონმდებლო, იდგა და დგას ივანიშვილის ავტორიტეტზე. როდესაც ეს ავტორიტეტი ხელისუფლებას გამოეცლება, ამ დროს აუცილებელია, რომ ხელისუფლებაში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც რაღაცნაირად გააკეთებენ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის კომპესირებას. მარგველაშვილი-სერგიენკოს დუეტი ამის კომპენსირებას ვერ გააკეთებს. მარგველაშვილი-ღარიბაშვილის დუეტი შესაძლებელია, რომ იქცეს იმ პოლიტიკოსთა ძალად, რომლებიც შეძლებენ, რომ პროცესები მართონ და სიტუაცია ხელიდან არ გაექცეთ. თუმცა ეს ყველაფერი არის ივანიშვილის გადასაწყვეტი და მისი პოლიტიკური გემოვნების ამბავი. ჩემი და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გემოვნება ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ დამთხვევია და არ ვიცი, ამ შემთხვევაში დაემთხვევა თუ არა. ცალსახად ვამბობ, ჩვენ თუ გვინდა, რომ ნაციონალებმა აღარ იარსებონ პოლიტიკურ ასპარეზზე, ჩვენ თუ გვინდა, რომ ქვეყანაში სტაბილიზაცია იყოს, ჩვენ თუ გვინდა, რომ ივანიშვილის პოლიტიკური კურსი გაგრძელდეს და ეს გაგრძელდეს ღირსეულად, ამისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ღარიბაშვილი იყოს პრემიერ-მინისტრი. ეს არის ჩემთვის ცალსახა.

***– თუმცა მოვისმინეთ ასეთი შეფასებებიც, რომ ივანიშვილი ვერ იპოვის მასზე უკეთეს კანდიდატს და უკეთეს შემცვლელს იმ პოსტზე, სადაც ამჟამად არის ღარიბაშვილი...***

– ეს საკამათო საკითხია. მე ვფიქრობ, რომ ეს არანაირი პრობლემა არ იქნება. აქ საუბარია იმაზე, რამდენად აწყობთ კოალიციაში შემავალ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობა. კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს, რა თქმა უნდა, თავისი ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა აწყობდეთ სუსტი პრემიერი, რათა თავიანთი პოლიტიკური კურსი ბევრად უფრო ეფექტურად წარმართონ და თავიანთი პირადი პოლიტიკური ქულები დააგროვონ. თუმცა ეს ქვეყნისთვის ცუდი იქნება. მე ვფიქრობ, რომ ქვეყანას სჭირდება ეფექტური, ახალგაზრდა და ძლიერი მმართველი. ეს გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. დღეს საქართველოს მოსახლეობა და მმართველი ძალა, არის ეიფორიაში, ეს ეიფორია ერთი თვე გაგრძელდება, მეტი არა, მაგრამ ამ ეიფორიულ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება გაჭირდება. ეიფორია ემოციებთან არის დაკავშირებული და როდესაც ემოციები ჭარბობს, რა თქმა უნდა, იქ რაციონალური გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში უკანა პლანზე ინაცვლებს. არარაციონალურმა გადაწყვეტილებებმა კი შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ არა გვაქვს საქმე ჩვეულებრივ პოლიტიკურ გუნდთან, ჩვენ საქმე გვაქვს დამნაშავეთა გუნდთან, რომელ დამნაშავეთა გუნდსაც გააჩნია რამდენიმე ასეულობით მილიონი თუ არა მილიარდი დოლარი იმისათვის, რომ მათ აწარმოონ თავიანთი „პოლიტიკური საქმიანობა“. მოდით, სხვანაირადაც შევხედოთ ამ ყველაფერს. პოლიტიკური საქმიანობის წასამართად, რა თქმა უნდა, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფინანსები. დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში ნაციონალურ მოძრაობაზე დიდი ფინანსების მქონე ძალა არ არსებობს. უფრო მეტსაც ვიტყვი, ნაციონალურ მოძრაობასთან, ფინანსურად მიახლოებული პოლიტიკური ძალაც კი არ არსებობს. იმიტომ, რომ ძალიან სერიოზული დისბალანსი არის ფინანსებს შორის. მათ ბევრად მეტი აქვთ, ვიდრე კოალიციაში შემავალ რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს, რომ აღარაფერი ვთქვათ პარლამენტს გარეთ დარჩენილ ძალებზე. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული უპირატესობაა. ამას დავამატოთ უცხოელი ლობისტები, მათ მიერ გადაბირებული დიპლომატები და ჩვენ დავინახავთ, რომ ჩვეულებრივ რიგით მოვლენასთან არა გვაქვს საქმე. ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ კატაკლიზმებთან. შემდგომში მე არ მინდა ისე მოხდეს, რომ ვინმემ თავში ხელი ირტყას იმის გამო, რომ როგორ არ დავნიშნე ვადამდელი არჩევნები და როგორ არ მივუჩინეთ ნაციონალურ მოძრაობას ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდაო. ღმერთმა არ ქნას, ასე რომ მოხდეს, თორემ მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ნაციონალები რევანშისთვის ემზადებიან. ეს მათ გამოსვლებშიც იგრძნობა და ყველა მათ ქმედებაში.

***– სააკაშვილისა და უგულავას ასე სასწრაფო ვიზიტს ევროპაში რით ხსნით? რა ხდება?***

– შესაძლოა, გულის გასაქარვებლად არიან ევროპაში წასულები ან თავიანთი ფინანსების დასაბინავებლად, სადმე, საიმედო ადგილას. ეს ალბათ თვითონ უკეთ იციან. ერთი რამ ცხადია და პარადოქსულ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე, დღევანდელი არჩევნების შედეგებით, გამარჯვებულ ქართულ ოცნებაზე მეტად, კმაყოფილი არის ნაციონალური მოძრაობა. დამარცხებული ძალა არის კმაყოფილი. ბევრად უფრო კმაყოფილი, ვიდრე ქართული ოცნება. ეს თუნდაც იმაში გამოჩნდა, რომ გამარჯვებულ ძალას არ ჰქონდა თავისი თავი გამარჯვებულად გამოცხადებული, რომ დავით ბაქრაძე გამოვიდა ტელევიზიით და მიულოცა ქართულ ოცნებას არჩევნებში გამარჯვება. ანუ ეს იყო იმის მანიშნებელი, რომ ნაციონალებმა ის ამოცანა, რაც მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, შეასრულეს. მეორე ადგილი იყო მათი საოცნებო რამ და ეს საოცნებო რამ აისრულეს, რაც ჩემი ღრმა რწმენით, არის ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა, რომელი პოლიტიკური შეცდომაც გამოიღებს შედეგს. მე მინდა, რომ ვცდებოდე ამ ჩემს პროგნოზში, მაგრამ ნაკლები შანსია, რომ ვცდებოდე.

***– საკმაოდ მალეა კიდევ ერთი არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის და საუბარია, რომ ამას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებს.***

– რა თქმა უნდა, ადგილობრივი არჩევნები იქნება პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ყველაზე მნიშვლენოვანი არჩევნები. მით უმეტეს, რომ დედაქალაქის მერი პირდაპირი არჩევის წესით ირჩევა. სწორედ ამ არჩევნებისთვის მოძლიერებას და გაძლიერებას ისახავს მიზნად ნაციონალური მოძრაობა. ბიძინა ივანიშვილმა, არაერთხელ აღნიშნა იმის თაობაზე, რომ მისი მიზანი არის ფართო პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება საქართველოში. მაგრამ დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს ერთი რამ, საქართველოში ჩამოყალიბდა ორპოლუსიანი პოლიტიკური ცენტრები, ერთი არის ქართული ოცნების კოალიცია, მეორე არის ნაციონალური მოძრაობა, ხოლო სხვა პოლიტიკური ძალები, ფაქტობრივად თამაშგარე მდგომარეობაში არიან დარჩენილები. თუკი ადგილობრივ არჩევნებამდე ჩვენ მივედით ისეთი კონფიგურაციით, რომ რეალურად არჩევნებში იბრძოლებენ მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა, ეს იქნება ქართული დემოკრატიის დამარცხება. ეს იქნება იმ იდეების დამარცხება, რომელი იდეებითაც ქართული ოცნება მოვიდა ხელისუფლების სათავეში და შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება. ამიტომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი ამოცანა უნდა იყოს იმ პოლიტიკური ძალების გაძლიერება, რომლებიც პარლამენტს გარეთ არიან დარჩენილები. ახალი პოლიტიკური ძალები უნდა გამოჩნდნენ ასპარეზზე, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ არსებულ პოლიტიკურ ძალებს.

## მერაბიშვილი ქუთაისის სასამართლოში სისტემატურად სიარულს არ აპირებს



წინასწარ პატიმრობაში მყოფი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ქუთაისში დაგეგმილ სასამართლო სხდომებზე სისტემატურად დასწრებას არ აპირებს – აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება მერაბიშვილმა სოციალურ ქსელში გააკეთა და მიზეზიც განმარტა.

„ბატონო მოსამართლევ, ჩემი აზრით, ქუთაისის სასამართლომ უკვე არაერთგზის მიიღო უკანონო გადაწყვეტილება – ჩემთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვება და სასამართლო პროცესებზე ბრალდებისთვის 4000-მდე მოწმის დაკითხვის საშუალების მიცემა.

წინა სასამართლო სხდომაზე მე აგიხსენით, რომ ჩემთვის რთულია თბილისიდან ქუთაისში სიარული და გთხოვეთ, რომ არ ჩაგენიშნათ კვირაში ერთზე მეტი პროცესი, რის პასუხადაც თქვენ განაცხადეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში კვირაში სამ პროცესსაც კი ჩაატარებდით. თქვენმა განცხადებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ქუთაისში მე არ უნდა ველოდო სამართლიან სასამართლოს. ამიტომ, მე გადავწყვიტე შევწყვიტო ქუთაისის სასამართლოში სისტემატური სიარული და საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ამ საკითხს. დღეიდან მე მხოლოდ რამდენიმე პროცესს დავესწრები“ – ნათქვამია მერაბიშვილის განცხადებაში.

დასაქმების სახელმწიფო პროგრამის საქმესთან დაკავშირებით მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორის ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დღეს განახლდება. პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეებს დაკითხავენ.

**ნიუსპრესი**

# გია ხუხაშვილი: „რამდენიმე დღეში სკანდალურ განცხადებას გავაკეთებ!“



შორენა გონგლაძე

სამთვიანი ტაიმ-აუტის შემდეგ რუხ კარდინალად წოდებული გია ხუხაშვილი საზოგადოებას მოკლე ხანში სკანდალური განცხადების გაკეთებას ჰპირდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხუხაშვილი ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხუხაშვილის გაკეთებული განცხადება მედიას მინიმუმ ერთი კვირა ეყოფა სხვადასხვა კონტექსტში დასატრიალებლად. როგორც ყოველთვის, ხუხაშვილის შემთხვევაშიც მის გარშემო უამრავი ჭორმართალი დატრიალდა, ეს მხოლოდ იმიტომ, ხუხაშვილი პრემიერმინისტრის კარზე ყველაზე დაახლოვებულ პირად ითვლებოდა. მის გვარს მიაწერდნენ ბიზნეს გარიგებებს, თანამდებობებზე კანდიდატურების შერჩევას, პარტიული სიების შედგენას და ასე შემდეგ. მოკლედ, ტრადიციულად, ქართულმა საზოგადოებამ არც ხუხაშვილს დააკლო „მზრუნველი“ ხელი. საბოლოოდ შექმნილი ბაკქანალიიდან ხუხაშვილმა გამოსავალი იპოვა – დროებით პოლიტიკური არენიდან გაუჩინარდა. ხუხაშვილი რამდენიმეთვიან დუმილს კი შემდეგნაირად ხსნის:

– ძალიან საინტერესო საჯარო განცხადებები მექნება უახლოეს პერიოდში, როგორც კი ფორმალური მხარე იქნება შესრულებული. რადგან, ვინმემ არ იფიქროს, სახელისუფლებო ბერკეტებს ვიყენებ. ამ ხნის განმავლობაში ჩუმად ვიყავი, რადგან ძალაუფლებიდან დისტანცირება ძალიან მტკივნეული პროცესია. ე.წ. კარანტინი მქონდა გამოცხადებული, – განაცხადა გია ხუხაშვილმა „რეპორტიორის“ პრესკლუბში.

– სრული დისტანცირება მოვახდინე ყველაფრისგან, რომ გარდამავალი პერიოდი გამევლო. ვფიქრობ, ეს გამოცდა ჩავაბარე. დისტანცირება განაპირობა ჩემმა მსოფლმხედველობამ, რაც არ არის ახალი. არასოდეს ვყოფილვარ პოლიტიკოსი, თუმცა მომიწია ამ პროცესში მონაწილეობა. ბიძინა ივანიშვილს თავიდან უარი ვუთხარი, მაგრამ როცა დავთანხმდი, იქვე განვაცხადე, რომ საარჩევნო ციკლის დასრულების შემდეგ პოლიტიკას დავტოვებდი. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხდა, რასაც თავისი მიზეზები აქვს, ყველაფერს თავის დროზე ავხსნი. ახლა პოლიტიკური ტემპერატურა დასრულდა. გიორგი გახდა საქართველოს პრეზიდენტი. ხელოვნური დაძაბულობაც დასრულდა ქვეყანაში. ჩემი სტატუსი არ მაძლევს უფლებას, ჩემი მოსაზრებები საჯაროდ გამოვთქვა. ის, რომ პრემიერთან ნებისმიერ შეხვედრაზე არის კონფლიქტი, ეს ტყუილი და აბსურდია. შეგნებულად გავრცელებული. მიხვდებით ვის მიერაც. რაც შეეხება ფარესაშვილს, ის საცოდავი ადამიანია, მას თავისი პრობლემები აქვს. მიუხედავად მისი საქმიანობისა, ადამიანურად ძალიან მეცოდება. არც ლაშა ამირეჯიბის მიმართ მაქვს აგრესია. ეს არის სიბინძურე. თუ ლაშა ამირეჯიბი დამკვეთს, ინფორმატორს საჯაროდ დაასახელებს, არ მაქვს მასთან რაიმე პრობლემა და აგრესია, მიუხედავად ასეთი სიბინძურისა. ადამიანები მეტი პასუხისმგებლობით უნდა უდგებოდნენ ყველაფერს. ენას ძვალი არ აქვს – არ არის პროფესიული პრინციპი. სერიოზული კამპანია იყო შექმნილი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება, რასაც ვებრძოდი, ზუსტად ის დაებრალებინათ. როგორ წარმოგიდგენიათ, ჩემს ასაკში შეიძლება ადამიანი შეიცვალოს? იმ 15-20 წლის განმავლობაში, დაწყებული ეროვნული მოძრაობიდან, არ მქონია არასდროს არც მატერიალური და არც სახელისუფლებო ინტერესი. პრობლემების და თავდასხმების მეტი არ მქონია. მედია საშუალებებთან დაკავშირებით სარჩელის შეტანას არ ვაპირებ. პრემიერიც საუბრობდა იმ დღეს და მეც ვიტყვი, რომ სიყვითლე უნდა იყოს ლეგალიზებული. როცა არასანდო რესპონდენტს ეძლევა ტრიბუნა, რომელსაც შეუძლია ყველაფერზე ისაუბროს, ეს ხომ მედიის პრობლემა ხდება და მედია ისჯება? თუმცა, საზოგადოებაში ალბათ არსებობს სიყვითლის მოთხოვნა. ვისურვებდი, რომ ისეთ ქვეყანაში მეცხოვროს, სადაც სიბინძურეზე, ჭორებსა და ტალახის შესხმაზე მოთხოვნა არ იქნება, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ხუხაშვილმა ჩატარებული არჩევნებიც შეაფასა, მისი თქმით, 9 წლის განმავლობაში საქართველოში ბოლშევიზმი სუფევდა.

– ჩვენ ხელისუფლება არ გვყავდა, ჩვენ გვყავდა კომისრები, 30-იანი წლების ბოლშევიკური წარმოშობის ადამიანები. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თავის მხრებზე შეძლო ქვეყნის ისტორიული ქსოვილის აღდგენა. მარგველაშვილის გამარჯვებას ველოდი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ კამპანია არ იყო ესკალაციის რეჟიმში და ტემპი იყო დაბალი, გარკვეული ამომრჩეველი, რომელსაც თავისი არჩევანი გაკეთებული აქვს, მაგრამ ამავდროულად აქვს კითხვები ხელისუფლებასთან, უბრალოდ არ წავიდა არჩევნებზე. ამან განაპირობა გიორგის ეს პროცენტი. იგივე „ნაციონალური მოძრაობის“ ეს შეუსაბამო რეიტინგი! ჩემი მონაცემებით 10-12 %-ს არ სცდება მათი რეიტინგი. ბევრი ცუდი რამ გამოჩნდება, რაც ნელ-ნელა „ნაცმოძრაობას“ დაატოვებინებს პოლიტიკურ ველს. შესაძლებელია გარკვეული რებრენდინგის ან მონანიების საფუძველზე შენარჩუნდეს გარკვეული წევრების პოლიტიკური მოღვაწეობა. სააკაშვილმა ამ 9 წლის განმავლობაში ქვეყნის ისტორიული განვითარება გაწყვიტა. მან მოინდომა შეექმნა ახალი ქართველი, სურდა ჩაეტეხა ხიდი წარსულსა და მომავალს შორის. დღეს მიდის პროცესი ამ ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე. ქართველი იბრუნებს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს. ათწლიანი წყვეტა დასრულებულია. გიორგი არ არის პოლიტიკოსი, რაც ძალიან დიდი პლუსია ამ ქვეყნის განვითარების. გიორგის არ აქვს სახელისუფლებო, კარიერული ამბიცია. მის წესიერებაში ეჭვი არავის ეპარება. ის გახდება გარანტი, რომ მოხდება ქვეყნის ტრანსფორმაცია. ზუსტად არაპარტიული და საღად მოაზროვნე პრეზიდენტი გვჭირდებოდა. ავანტიურიზმზე, ფსევდო ქარიზმაზე აგებული იმედები მალევე იმსხვრევა. ასეთი გვყავდა სამივე პრეზიდენტი – აღნიშნა გია ხუხაშვილმა. მისივე თქმით, სააკაშვილი იმით არის ცნობილი, რომ არავის ენდობოდა და ყველას აკონტროლებდა. თავისი ავადმყოფური, ფანატიკური ბუნებიდან გამომდინარე, მის ირგვლივ მყოფებმა მოახერხეს ის, რომ ერთი სალარო შექმნეს.

– სააკაშვილმა ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდებოდა, კარგად იცოდა. ხელის შეხოცვა პოლიტიკოსებისთვის დამახასიათებელია. ვინმეს სჯერა, რომ სააკაშვილმა არ იცოდა კორუფციული თემები, გირგვლიანის ანატომია და ა.შ. შენობებსაც კი ის ღებავდა. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ტოტალური კორუფცია აქცია ელიტარულად, ერთი სალაროდან მართეს ფული. მაგრამ, შედეგია ის, რომ გვყავს კარგი პატრული, საჯარო სექტორი, რაც მათი დამსახურებაა. მაგრამ, ასეთ ვადებში ამ ამოცანების შესრულება არის ფსიქიკააშლილი და ავადმყოფი ადამიანის შესაძლებლობა, როგორიც იყო სააკაშვილი. ბიზნესი და ეკონომიკა ინტეგრირებული იყო ხელისუფლებაში. ხელისუფლება ეკონომიკის დირექტორი იყო, სადაც ეკონომიკა ვერ ვითარდებოდა. მე კი ვიყავი საფრთხობელა ბოსტანში, რომ ეს ძაფი ხელისუფლებას და ბიზნეს შორის ჩაწყვეტილიყო. მე არავის ვხვდებოდი, უბრალოდ ვცდილობდი, დანარჩენ ხელისუფლებასთან ერთად ბიზნესისთვის აგვეხსნა, რომ მათ საქმე აქვთ კანონთან და არა ჩინოვნიკებთან, – განაცხადა ხუხაშვილმა.

გია ხუხაშვილმა საპრეზიენტო არჩევნებზე მეორე ადგილის მნიშვნელობასა და ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ შეცდომებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, ბურჯანაძე ქართულ პოლიტიკაში დარჩება, მას ექნება მცირე ადგილი, მაგრამ ხელისუფლებაში ის ვერ დაბრუნდება, ვინაიდან, ხუხაშვილის განმარტებით, ნინო ბურჯანაძის მხრებზე ბევრი და მძიმე პოლიტიკური შეცდომაა.

– ხელისუფლებას საარჩევნო კამპანიის რესურსი ჰქონდა, შესაბამისი პიარ-ტექნოლოგიებით ისე წარემართა ყველაფერი, რომ პროცენტი ბევრად მაღალი ყოფილიყო. შესაძლებელი იყო „ნაცმოძრაობისა“ და ნინო ბურჯანაძის რეალური სახის წარმოჩენა. მაგრამ ქვეყანაში არსებობს უფრო მაღალი ფასეულობები. საარჩევნო რყევებს ნელ-ნელა უნდა გადავეჩვიოთ. ტექნოლოგიური მართვით 10-15 პროცენტით მეტის მიღება იყო შესაძლებელი. საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ადგილისთვის ბრძოლა, ჩემი აზრით, სასაცილოა. პოლიტიკოსმა არასოდეს უნდა თქვას, რომ მეორე ადგილი მისთვის მნიშვნელოვანია. ბურჯანაძის კამპანიის ანალიზს არ შევუდგები, თუმცა, პრობლემა არის მის წარსულში. ის დღეს არ დაბადებულა და ბევრი რამ ვიცით. მას აქვს უმძიმესი შეცდომები დაშვებული – დაწყებული 7 ნოემბრის შეფუთვით, დამთავრებული – ხუთი იანვრის არჩევნების ლეგიტიმაციით, როცა ის იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. მას შეეძლო შეეცვალა საქართველოს რეალობა, მაგრამ მან მოახდინა სააკაშვილის ლეგიტიმაცია. ეს არა მხოლოდ დანაშაული იყო ქართველი საზოგადოების მიმართ, არამედ მისი პირადი პოლიტიკური შეცდომა. ყველა კოზირი ეჭირა ხელში, მაგრამ მან ეს ნაბიჯი არ გადადგა. ჭეშმარიტების წამის დაჭერა უნდა შეგეძლოს, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

# „პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია“

ევროკომისიის პრეზიდენტის ხოსე მანუელ ბაროზოს განცხადებით, ფაქტია, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. ამის შესახებ ხოსე მანუელ ბაროზომ ბრიუსელში საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

„მე დავსვი შეკითხვა, არის თუ არა საქართველო უკეთესი ქვეყანა, ვიდრე ის 10 წლის წინ იყო. ამაზე პასუხი არ მიმიღია, მაგრამ ახლა პრეზიდენტ ბაროზოსგან ვისმენ, დიახ, საქართველო უკეთესი ქვეყანაა. გვერდიდან, მითუმეტეს ბრიუსელიდან კარგად ჩანს. ეს ქალაქი ყოველთვის ფრთხილი და სკეპტიკური იყო შეფასების თვალსაზრისით, მაგრამ დღეს ჩვენ კარგად ვთანამშრომლობთ. აშკარაა, რომ ევროკომისიაც შეიცვალა საქართველოსთან მიმართებაში თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში“, – მიმართა სააკაშვილმა ბაროზოს.

როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა აღნიშნა, პოლიტიკური პრობლემები პოლიტიკური გზით უნდა გადაწყდეს და არა სამართლებრივი მეთოდებით.

„ფაქტია, პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია. ბატონი პრეზიდენტო, ახლა თქვენ თანამდებობას ტოვებთ და შეგიძლიათ, თქვათ, რომ საქართველო დღეს არის უფრო სტაბილური ქვეყანა, ვიდრე ადრე იყო. ევროპის კავშირი ყოველთვის პატივს სცემს კანონის უზენაესობას ყველანაირი გამოძიების დროს, ეს აუცილებელია და ამას ვაცხადებ საჯაროდ, რომ როდესაც შევხვდი აქ პრემიერ-მინისტრს, ვუთხარი მკაფიოდ, თუ რას ნიშნავს ოპოზიცია, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს საქართველოს მთავრობასთან, როგორც პირადად მე, ასევე ეშტონს და კომისარ ფულეს. უფრო კონკრეტული ვიქნები და გეტყვით, რომ დემოკრატიის ტრანსაქციის პერიოდში, საქართველოში არის დიდი პოლარიზაცია ოპოზიციასა და მთავრობას შორის. ჩვენ გვესმის, რომ ქართველების ფუნდამენტური ინტერესია, რომ პოლიტიკური საკითხები გადაწყდეს პოლიტიკური მეთოდებით. არჩევნების გზით თქვენ ახალი პრეზიდენტი და პრემიერი გყავთ. პოლიტიკური პრობლემები უნდა გადაწყდეს პოლიტიკური გზით და არა სამართლებრივი მეთოდებით. ეს ფუნდამენტური განსხვავებაა“, – განაცხადა ბაროზომ.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილმა ადეიშვილის ძმა შეიწყალა

შორენა გონგლაძე

**მიხეილ სააკაშვილმა მმართველ გუნდს საბოლოო პენალტი გაუტანა. სააკაშვილის მიერ გამოცემული შეწყალების აქტი საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. მიხეილ სააკაშვილის მიერ შეწყალებულთაგან 170 პირი სასჯელისგან სრულად გათავისუფლდა, შეწყალებულთა შორის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებიც არიან.**



„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, შეწყალებულთა შორის არის ერთი უვადო პატიმრობამისჯილი პირი – მკვლელობის ბრალდებით, რომელსაც სასჯელი ვადიანად გადაექცა და წელიწადნახევარში უწევს დაწესებულების დატოვება. ამასთან, სააკაშვილის მიერ შეწყალებული 248 პირიდან, 170 გათავისუფლდა სასჯელისგან, 56-ს გაუნახევრდა, 5-ს კი შეუმსუბუქდა სასჯელი. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ვისაც გათავისუფლება შეეხო, უკვე დატოვეს სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის, თინა ბურჯალიანის მეუღლე ნიკოლოზ ძიმცეიშვილი შეიწყალა. ძიმცეიშვილი, როგორც ცნობილია, ძებნაშია. იგი ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრობის დროს, მის მოადგილედ მუშაობდა. ძიმცეიშვილს ბრალი დაუსწრებლად დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვას და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედებოდა.

არსებული ინფორმაციით, მათ შორის არიან ზურაბ ადეიშვილის ძმა, დავით ადეიშვილი, რომელიც ძიმცეიშვილის მსგავსად ძებნაში იმყოფება და აგრეთვე ბუტა რობაქიძის საქმეზე დაკავებული ყოფილი პოლიციელი მაიზერ ლიპარტელიანი. დავით ადეიშვილი დაკავებული არ ყოფილა და ამ დრომდე მიმალვაში იმყოფება. იუსტიციის ყოფილი მინისტრის ძმა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2013 წლის 2 სექტემბრის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-2 მუხლის პირველი ნაწილით გასამართლდა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. ადეიშვილს სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, თუმცა მას ამ დროისთვის საქართველოს ტერიტორია უკვე დატოვებული ჰქონდა.

სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მიმართული ხალხის ნებისა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ.

– ბუნებრივია, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, როდესაც ადამიანს, რომელსაც გუშინ სასამართლომ სასჯელი მიუსაჯა და მეორე დღეს პირდაპირ ციხიდან გუბერნატორად ინიშნება, როგორც ეს სამეგრელოს გუბერნატორის შემთხვევაში მოხდა, ეს პირველ რიგში, არის პოლიტიკური ბრძოლა სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. როდესაც ადამიანს ერთი დღე არ გაუტარებია საპყრობილეში და ასეთი პიროვნების შეწყალება ხდება, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და უნდობლობაა იმ სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რითიც წლების განმავლობაში თავად ამაყობდა. ეს არის პირდაპირი ჩარევა სასამართლოს ხელისუფლებაში. მართალია, პრეზიდენტს კანონით ამის უფლება აქვს, მაგრამ მორალურად სრულიად გაუმართლებელია. შეწყალებას თავისი წესი აქვს, – განაცხადა სუბარმა. მისივე თქმით, ასევე, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, როდესაც ხდება ისეთი ადამიანის შეწყალება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა, არ გამოცხადდა და ძებნილია. როდესაც ასეთი ადამიანის შეწყალება ხდება, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მიმართული ხალხის ნებისა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, – განაცხადა სუბარმა.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებით, ნიკოლოზ ძიმცეიშვილი, დავით ადეიშვილი და მაიზერ ლიპარტელიანი კომისიის მიერ პრეზიდენტისთვის გადაგზავნილ შესაწყალებელ პირთა სიაში არ ყოფილან. როგორც ელენე თევდორაძემ სააგენტო „ფრონტნიუს“-ს განუცხადა, კომისიის მიერ შედგენილი 161-კაციანი სიიდან პრეზიდენტმა 7-ის გვარი ამოიღო და 72 დაამატა.

– პრეზიდენტი სულ ასეთ სიურპრიზებს მიწყობს, აღარ შემიძლია! ჩვენ განვიხილავთ მსჯავრდებულთა განაცხადებს, რომელთაც სასჯელის ნახევარი მოხდილი აქვთ. ამ 72 – კაციან სიაში ვინ არის, წარმოდგენა არ მაქვს და არც მათი განაცხადები მინახავს. პრეზიდენტმა ჩვენი სიიდან 7 პირი ამოიღო. ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომელთა გაუფრთხილებლობითაც ადამიანი გარდაიცვალა. ჩვენ რეკომენდაცია სულ 161 პირზე გავეცით, მათგან 33 –ს სასჯელი უნდა განახევრებოდა, დანარჩენები კი უნდა გათავისუფლებულიყვნენ, თუმცა ამ 33 –კაციანი სიიდანაც მან ერთი კაცი ამოიღო, – განაცხადა ელენე თევდორაძემ.



# ოპერისა და ბალეტის თეატრი ვაგნერის იუბილეს ზეიმობს

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის 200 წლის იუბილეს აღნიშნავს.

– წელს 22 მაისს შესრულდა 200 წელი უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის დაბადებიდან. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მსგავსად, ამ თარიღს აღვნიშნავთ საქართველოშიც. კონსერვატორიის დიდ დარბაზში 31 ოქტომბერს გაიმართება საიუბილეო კონცერტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდის, სიმფონიური ორკესტრისა და წამყვანი სოლისტების ირინე რატიანის, კახაბერ თეთვაძისა და ნიკოლოზ ლაგვილავას მონაწილეობით. ამ კონცერტისთვის თბილისში საგანგებოდ ჩამოდიან საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერლები ვალერიანო გამგებელი და რამაზ ჩიკვილაძე, – ამბობს ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი.

მისივე თქმით, რიხარდ ვაგნერის საიუბილეო კონცერტს იდირიჟორებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჟორდანია. კონცერტის პროგრამაშია ნაწყვეტები რიხარდ ვაგნერის ოპერებიდან „რიენცი", „მფრინავი ჰოლანდიელი", „ტანჰოიზერი", „ლოენგრინი", „ვალკირია", „ტრისტანი და იზოლდა", „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები", რომელთა ნაწილი საქართველოში პირველად შესრულდება.

მიჩნეულია, რომ ვაგნერის შემოქმედებამ ევროპულ კულტურაზე უდიდესი გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით კი მოდერნიზმზე. მას სურდა ჩამოეყალიბებინა ორკესტრი, რომელიც შეძლებდა ვაგნერის საყვარელი კომპოზიტორი, ბეთჰოვენის ნაწარმოებების შესრულებას. პარიზში ცხოვრების წლებმა ბევრი კარგი მოუტანა მას, აქ დაიწერა სიმფონიური უვერტიურა „ფაუსტი", შესრულდა პარტიტურა „რიენცი" და დაამთავრა ლიბრეტო „მფრინავი ჰოლანდიელი". მისი მდგომარეობა კატასტროფული იყო. ყველაფერი ფასეული ლომბარდში მიზიდა და გაყიდა.

„რიენციმ" მას დრეზდენში დიდი სახელი მოუტანა, ოპერა ძალიან წარმატებული იყო. ამის შემდეგ იგი მიიწვიეს ლაიპციგში და ბერლინში და უცნობი მუსიკოსი, რომელიც პარიზში სიღარიბეში იძირებოდა, ყველასთვის მოულოდნელად მოდურ, სახელგანთქმულ კომპოზიტორად გადაიქცა. „რიენცის" ხმაურიანი წარმატება თვით ვაგნერისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მან ადგილი მიიღო გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრში დრეზდენში და ძირითადი ყურადღება შემოქმედებაზე გადაიტანა. მას უყვარდა ბოჰემური ცხოვრება და ყველა ასაკის ქალთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა. ყველაზე სკანდალური რომანი კი 18 წლის მეფე ლუდვიგ II-სთან იყო. მეფე თაყვანს სცემდა ვაგნერის მუსიკას და უზრუნველყოფდა მას საცხოვრებლითა და ფულით. ლუდვიგი უზომოდ იყო ვაგნერზე შეყვარებული და წერილებში მოიხსენიებდა მას „ჩემო სიყვარულო" და „ჩემო სულის სიყვარულოო".

ცხოვრების უკანასკნელ წლებში კომპოზიტორი მძაფრი ანტისემიტი გახდა. ჰყავდა სამი შვილი და ყველას თავისი საყვარელი საოპერო გმირების სახელები დაარქვა – იზოლდა, ევა და ზიგფრიდი. კომპოზიტორი გულის შეტევით გარდაიცვალა.

ვაგნერმა დაწერა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სოლო არია. ის 15-წუთიანია და ჟღერს ბრიუნჰილდის მსხვერპლშეწირვის სცენაში ოპერაში „ღმერთების სიკვდილი". ასევე მას ეკუთვნის მსოფლიოში ყველაზე გრძელი ოპერა „ნიურბერგის მეისტერზინგერები", რომელიც გრძელდება 5 საათის და 15 წუთის განმავლობაში. არანაკლებ საინტერესოა მისი არამუსიკალური მემკვიდრეობა, რომელიც შედგება 16 ტომი ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებებისგან, ასევე 17 ტომი წერილებისგან. მისი ცნობილი ციტატებიდან კი აღსანიშნავია „სიხარული არ არის ნივთებში, ის ჩვენშია".

# დვანის თავზე რუსული ვერტმფრენები გამოჩნდნენ

გულიკო ბალაძე

**რუსეთიდან მოლოცვების პარალელურად, რუსული სამხედრო მანქანა არ ისვენებს და კონფლიქტის ზონაში ანტიქართულ ქმედებებს აგრძელებს. გუშინ ცხინვალის რეგიონში ოსი სეპარატისტებისა და რუსი სამხედროების მიერ გავლებულ ადმინისტრაციულ საზღვართან ოთხჯერ რუსული სამხედრო ვერტმფრენი დაფიქსირდა.**

ამის შესახებ ტელეფონით გვაცნობა სოფელ დვანის მცხოვრებმა გენადი მამაგულაშვილმა. ვერტმფრენის მანევრირების შემდეგ, როცა გენადი მამაგულაშვილი სახლიდან გარეთ გამოვიდა და ტელეფონით ამის თაობაზე ინფორმაციას გვაწვდიდა, კვლავ განმეორდა რუსული სამხედრო ვერტმფრენის მანევრები.

**გენადი მამაგულაშვილი:**

– ახლა, 2 წუთის წინ, ვიდრე თქვენ გესაუბრებოდით, კვლავ ისმოდა ვერტმფრენის ხმა.

*– სამხედრო ვერტმფრენი იყო?*

– დიახ, სამხედრო ვერტმფრენები დაფრინავენ. ვერტმფრენის ხმა მომესმა. სახლიდან რომ გამოვედი, უკვე მიდიოდა. უკვე ორი წელიწადია, საქართველო მიერთებულია ევროპის საფრენ ზონას, სადაც რუსეთს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი ფრენების განხორციელება. 2 წელია საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ვერტმფრენები აღარ შემოფრენილა, რადგან ევროპა ამას უკრძალავდა. ამ შემოდგომაზე ეს მეორედ ხდება, რომ სამხედრო ვერტმფრენები შემოდიან და უვლიან ე.წ. საზღვარს. შემოფრინდა, გაჰყვა ე.წ. საზღვარს და წავიდა. მაშინ ყურადღება არ მივაქციეთ. ვთქვით, რომ ეს ან შემთხვევითობაა, ან მოლაპარაკებააო, მაგრამ გამეორება საშიში პრეცედენტია.

*– სოფელში რა მდგომარეობაა, ე.წ საზღვართან სამხედროები ჩანან?*

– რა თქმა უნდა. ისინი მაშინ მოდიან, როდესაც ჩვენები მიუახლოვდებიან ადმინისტრაციულ საზღვარს. თუ არადა ჯიხურები აქვთ და შიგ სხედან.

*– კონტროლი გრძელდება?*

– კონტროლი გრძელდება და ძალიან საშიში პრეცედენტია, რომ ორი თვის განმავლობაში ამგვარი ქმედება უკვე მეორედ განახორციელეს. ახალი პრეზიდენტი ავირჩიეთ და მეორე დღეს განახორციელეს ასეთი რამ. არ ვიცი, რა ხდება.

*– თუმცა, რუსებმა მილოცვებიც გამოაგზავნეს.*

– რა თქმა უნდა. შეიძლება ეს საცდელი იყოს, რამდენად გამოთქვამს ქართული მხარე ამ ქმედებაზე პროტესტს, მაგრამ ჩვენი ვალია, ეს დავაფიქსიროთ და მოვთხოვოთ ხელისუფლებას, ამაზე ყურადღება გაამახვილოს.

*– სოფლის მცხოვრებლები რას ამბობენ?*

– სოფლის მცხოვრებლებმა რა უნდა თქვან. თუ რაიმეს მისცემ, აიღებენ. ყველა ხელისუფლება მათთვის არის ის, ვინც მათთვის რაიმეს გაიმეტებს. ამის შემდეგ აძლევენ ხმას.

*– ეს ბუნებრივია, რადგან, ფაქტობრივად, ყველა ასეა.*

– მართალია, მაგრამ არსებობს საკითხები, როცა ადამიანი არ უნდა დახურდავდეს.

# „პრეზიდენტმა პოლიტიკური დევნის მსხვერპლი პატიმრები შეიწყალა"



პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის განცხადებით, პრეზიდენტმა პატიმრები მხოლოდ ამ ნიშნით შეიწყალა. „პრეზიდენტმა ის ხალხი შეიწყალა, რომლებზეც დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახდნენ. ეს მიზეზი გახდა მათი შეწყალების ძირითადი ლოგიკა", – განაცხადა ანდრო ბარნოვმა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეწყალებულ პატიმრებს შორის ზურაბ ადეიშვილის ძმა დავით ადეიშვილი, ბაჩო ახალაიას მოადგილე ნიკოლოზ ძიმცეიშვილი და რობაქიძის საქმეზე ბრალდებული მაიზერ ლიპარტელიანი არიან. ლიპარტელიანთან დაკავშირებით ანდრო ბარნოვმა განაცხადა, რომ ის მხოლოდ იმიტომ იყო დაკავებული, რომ პროკურატურას სასურველი ჩვენება არ მისცა.

**პირველი**

# სამარ ჩოკუტაევზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა

ე.წ ჯიჰადის ვიდეოს დამზადებასა და გავრცელებაში ბრალდებულ ყირგიზეთის მოქალაქეზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია „პირჭელს" შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა დაუდასტურა. ჩოკუტაევის ძებნის დასაწყებად საქართველოს პროკურატურამ ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს დოკუმენტაცია დაახლოებით, ორი კვირის წინ გადაუგზავნა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. ჯიჰადის ვიდეოს საქმე გახსნილად 3 ოქტომბერს გამოაცხადა.

შსს-ს ინფორმაციით, ე.წ. „ჯიჰადის" ვიდეო ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევმა შექმნა, რომელიც სოხუმში მუშაობს. ჩოკუტაევმა დანაშაული ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩაიდინა. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**პირველი**

# უბედურ შემთხვევას სამი ადამიანის, მათ შორის, ერთი ბავშვის სიცოცხლე შეეწირა

როგორც „პირველს" საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ განუცხადა, შემთხვევა დილმის მასივში გუშინწინ მოხდა.

„სამი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის ერთი მცირეწლოვანია. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი სავარაუდოდ, გაზის გაჟონვა გახდა", – განაცხადა გიორგაძემ.

**ნიუსპრესი**

# არაბმა შეიხმა გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება მიულოცა

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება არაბეთის გაერთიანებული საემიროების რას ალხაიმას საემიროს მმართველმა, შეიხმა საუდ ბინ საკრ ალ კასიმმა მიულოცა. „მინდა გულწრფელად მოგილოცოთ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში ამასწინანდელი გამარჯვება. ეს შედეგები ჭეშმარიტად ადასტურებს „ქართული ოცნების" ხედვას თქვენი ქვეყნის განვითარებისთვის. მოუთმენლად ველი თქვენთან და თქვენს მთავრობასთან თანამშრომლობას რას ალ ხაიმას საქართველოსთან მრავალწლიანი მეგობრობის გასაძლიერებლად", –– ნათქვამია შეიხის მისალოც წერილში. რას ალ ხაიმას მმართველი გიორგი მარგველაშვილს წარმატებულ ინაუგურაციასა და საპრეზიდენტო ვადის ნაყოფიერად დაწყებას უსურვებს.

**მედიანიუსი**

# ბიძინა ივანიშვილი ოფიცრებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, გუშინ საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ მალხაზ მერლანს და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილეს, პოლკოვნიკ ალექსანდრე კიკნაძეს შეხვდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებმა პრემიერ-მინისტრს აისაფ-ის მისიაში მონაწილე ქართული კონტინგენტის სახელით, სიმბოლური საჩუქარი – საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცეს, რომელიც ავღანეთში აისაფ-ის მისიის შესრულებისას, ქართულ ბაზაზე ფრიალებდა.

**ნიუსპრესი**

# 2013 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად გაცემული პენსია და კომპენსაცია ლეგალიზაციას ექვემდებარება

„სახელმწიფო პენსიის შესახებ" და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტები დღეს მესამე მოსმენით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. პროექტების თანახმად 2013 წლის პირველ დეკემბრამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული პენსია (მათ შორის პენსიაზე დანამატი) და კომპენსაცია ლეგალიზაციას ექვემდებარება. კანონპროექტების პირვანდელ ვარიანტში ლეგალიზაციას 1 სექტემბრამდე გაცემული პენსია და კომპენსაცია ექვემდებარებოდა. თუმცა, მეორე მოსმენით განხილვის დროს შენიშვნა გამოითქვა, რომელიც ვადის 1 დეკემბრამდე გადაწევას ითვალისწინებდა. როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული შენიშვნა მთავრობის მიერ გათვალისწინებულია. კომიტეტის წევრებს სხდომაზე რედაქციული ხასიათის შენიშვნა არ გამოუთქვამთ, ამიტომ, მის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანას მხარი დაუჭირეს.

**ნიუსპრესი**

# ზაზა გაბუნია: „თბილისის მერიამ კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანიებს 3 მლნ ლარზე მეტი გადაურიცხა"

გაბუნიას განცხადებით, სახელშეკრულებო პერიოდი ემთხვევა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას და მაღალი ალბათობით, თანხები სწორედ „ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო სარეკლამო მიზნებისთვის დაიხარჯა.

მისივე ინფორმაციით, თბილისის მერიის ადმინისტრაციასა და შპს „ჯენერალ მედიას" შორის, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრთან დავით კეზერაშვილთან ასოცირდება, 2011 და 2012 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები 1 571 587 ლარსა და 1 700 000 ლარზე, რომელიც ჯამში 3 271, 587 ლარს შეადგენს, რომლითაც „ჯენერალ მედია" ქართულ ტელე-სივრცეში სარეკლემო რგოლების განთავსებაზე ვალდებულებას იღებდა. იმავე დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანია „აუთდორ ჯისთან", მერიის ადმინისტრაციამ 2012 წლის 20 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება ბანერების ბეჭდვის მომსახურებაზე და სახელშეკრულებო თანხამ 80 000 ლარი შეადგინა.



დეპუტატის თქმით, რამდენადაც თანხების მიზნობრიობა დაფარულია, ეს ნიშნავს იმას, რომ მერიამ ფულადი სახსრები ისეთი ამოცანებისთვის დახარჯა, რომელიც მერიის საქმიანობას პირდაპირ არ უკავშირდება.

გაბუნიას თქმით, შემდგომი მოკვლევის მიზნით, დოკუმენტაცია საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნება, რადგან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დარღვეულია თავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები, რაც გამოიხატა იმაში, რომ თანხების მიზნობრიობა და სხვა დეტალები დამალულია.

ამასთან, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნია, მერიის წარმომადგენლებთან პირდაპირ ეთერში დებატებს ითხოვს და პასუხს კითხვაზე, მოსახლეობისათვის მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მერიამ მილიონობით ლარი სარეკლამო საქმიანობისთვის რატომ დახარჯა.

**პირველი**

# „დემოკრატიული მოძრაობა" არჩევნების რეალური შედეგის დადებას აპირებს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერის განცხადებით, მისთვის ცნობილია თუ რა შედეგი აჩვენა რეალურად მან საპრეზიდენტო არჩევნებზე და ცნობილია ისიც, რომ ოფიციალურ შედეგებს საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც ეჭვის თვალით უყურებს.

ნინო ბურჯანაძე მის ყველა მხარდამჭერსა და თანამებრძოლს მადლობას უხდის და იმედს გამოთქვამს, რომ ისინი თავიანთ საქმიანობას კვლავ აქტიურად გააგრძელებენ.

„უპირველეს ყოვლისა მინდა კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მთელი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში და არჩევნების დღეს ნდობა გამომიცხადა, ირწმუნა ჩემი და იმ დაპირებებისა, რომელთაც მათ ვაძლევდი და რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად შევასრულებდი.

მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც მუშაობდა ჩემთან ერთად მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ეს ეხება ყველა შტაბს, ყველა იმ ადამიანს ვინც თითოეული ჩვენგანის სახელით ელაპარაკებოდა მოსახლეობას და მჯერა, რომ ეს ადამიანები, მიუხედავად დიდი გულისტკენისა, მაინც აქტიურად გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.

მე დღეს არჩევნების შედეგებზე არ ვილაპარაკებ, რადგან ამის დროც მოვა. ძალიან კარგად ვიცი რა შედეგიც დავდეთ რეალურად და ვიცი, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, დღეს კიდევ უფრო მეტი ეჭვით უყურებს ძალიან ბევრ ფაქტს, ვიდრე ეს აქამდე იყო. მე არა მგონია, რომ ყოველმა მეხუთე ადამიანმა ხმა „ნაციონალურ მოძრაობას" მისცა ხოლო ჩვენ მხოლოდ 10% მივიღეთ" – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მანვე იმ ადამიანებსაც მიმართა, ვისაც ხმა არცერთი კანდიდატისთვის არ მიუცია და განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ამ ადამიანებმა დაინახონ მისი პოლიტიკური ბრძოლის შემდგომი ნაბიჯები და დაინახონ, რომ ის პოლიტიკურ საქმიანობას აქტიურად აგრძელებს.„ფაქტია, რომ ამ არჩევნების შემდეგ ყველას მოუწია იმის აღიარება, რომ მე და ჩემი თანამებრძოლები ძალიან სერიოზული და ანგარიშგასაწევი ძალა და საქართველოს პოლიტიკურ არენაზე ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი ვართ" – აღნიშნა „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა.

**ნიუსპრესი**

# რომში ქართველი ე.წ კანონიერი ქურდები დააკავეს

რომში ქართველი ე.წ კანონიერი ქურდები დააკავეს, რომლებიც კრიმინალური ავტორიტეტის „დედ ჰასანის" მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილები. უცხოური მედიის ცნობით, სამართალდამცველებმა გიორგი გურჩიანი, ირაკლი ფიფია და როინ უგულავა ოთხ პირთან ერთად აიყვანეს.

პოლიცია მათ კრიმინალურ ავტორიტეტ დავით ოზმანოვზე თავდასხმაში ადანაშაულებს. ევროპელი სამართალდამცველების ვერსიით, სწორედ ეს დანაშაული გახდა ტარიელ ონიანისა და ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის" კლანებს შორის კონფლიქტის გაგრძელების საბაბი, რომელსაც საბოლოოდ უსოიანის მკვლელობა მოყვა. გავრცელებული ინფორმაციით, სამივე დაკავებული რომში ე.წ კანონიერი ქურდების იმ სხდომას ესწრებოდნენ, რომელზეც უსოიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

**ნიუსპრესი**

# ელისო ბოლქვაძე ჩინეთში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი



მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ჩინეთში დაუკრავს. ამის მიზეზი ორკვირიანი საკონცერტო ტურნეა. ქართველი პიანისტი კონცერტებს ჩაატარებს პეკინის, შანხაის, ტიანჯინის, ნანჯინგის, ქსიამენის და ცინგუას ფილარმონიისა და თეატრების დიდ საკონცერტო დარბაზებში. ასევე დაგეგმილია ორი მასტერკლასის გამართვა შანხაისა და პეკინის კონსერვატორიის სტუდენტებისათვის.

ელისო ბოლქვაძე ჩინელი მსმენელის წინაშე, სოლო კონცერტების დიდი და შეკვეცილი პროგრამით წარდგება. პიანისტი ბეთჰოვენის, შოპენის, სონის და პროკოფიევის საფორტეპიანო ნაწარმოებებს შეასრულებს.

— ეს ჩემი პირველი ტურნეა ჩინეთში, სადაც იქ არსებული მუსიკალური კომპანიის მიწვევით მივემგზავრები. ჩინეთს დიდი მუსიკალური ისტორია აქვს, აქედან გამომდინარე, საფორტეპიანო ხელოვნების მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავენ. ჩინეთში მილიონობით ადამიანი ეუფლება საფორტეპიანო ხელოვნებას. ფაქტიურად შეუძლებელია დღეს საერთაშორისო კარიერა ჩინეთში დაკვრის გარეშე, — მიაჩნია პიანისტს.

ელისო ბოლქვაძის სადებიუტო კონცერტები ჩინეთში პირველი ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება. თუმცა არ არის გამორიცხული, დამატებითი კონცერტებიც დაინიშნოს.

— მოხარული ვარ, რომ ჩემმა პროგრამამ დიდი დაინტერესება გამოიწვია. კონცერტზე დასასწრები თითქმის ყველა ბილეთი გაყიდულია, რის გამოც შესაძლებელია დამატებითი კონცერტები დაინიშნოს და 7 და 8 ნოემბერს და დღეში ორი კონცერტის ჩატარებაც მომიწიოს, დღისით და საღამოს. ჩინეთის ბაზარი ძალიან საინტერესოა, — ამბობს ელისო ბოლქვაძე.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, პიანისტი ტურნეს მოწყობას უკვე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩინეთის სხვა ქალაქებშიც გეგმავს. მისი სოლო კონცერტები დაგეგმილია შვეიცარიაში, ამერიკაში, ესპანეთში, გერმანიაში, მოსკოვსა და ნიდერლანდებში. იანვარში ქართველი პიანისტის პრესტიჟული დებიუტი ამსტერდამში, მსოფლიოში ცნობილ დარბაზ კონცერგებოუში შედგება. საქართველოში ჩამოსვლას კი ბათუმის რიგით მეორე საერთაშორისო ფესტივალზე „ბათუმი მიუზიქ ფესტ"-ზე გეგმავს, რომელიც 2014 წლის ივლისში გაიმართება. ელისო ბოლქვაძე ქართული ხელოვნებაში ერთ-ერთი გამორჩეული სახელია. მისი ხელშეწყობით საქართველოში ჩამოვიდა მუსიკალური არხი „მეცო", რომელმაც რუსთაველის თეატრში ჩატარებული კონცერტი გადაიღო. ელისო ბოლქვაძესთან ერთად ამ კონცერტში ახალგაზრდა ქართველი პიანისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. თავდაპირველად პიანისტი საქართველოში საერთაშორისო ფონდის „სოს ტალენტის" ხელშეწყობით ჩამოდიოდა და ნიჭიერ პიანისტებს ეძებდა უცხოეთში გასამგზავრებლად. ახლახან მან დააარსა საქველმოქმედო ფონდი „ლირა", რომელიც ხელს უწყობს ქართველი ნორჩი ტალანტების აღმოჩენას. ელისო ბოლქვაძემ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დასახმარებლადაც გამართა საქველმოქმედო კონცერტი და ამ ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერების მოვლისა და პატრონობისკენ მოუწოდა სრულიად საქართველოს.

ელისო ბოლქვაძე მრავალი ცნობილი საერთაშორისო კონკურსის და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. იგი ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს, მართავს კონცერტებს მსოფლიოს პრესტიჟულ დარბაზებში ევროპას, ამერიკასა და რუსეთში, მაგრამ არც მშობლიურ საქართველოს ივიწყებს. ელისო ბოლქვაძე თანამშრომლობს მსოფლიოს გამოჩენილ დირიჟორებთან და ორკესტრებთან, მისი ყოველი გამოჩენა სცენაზე კი მუსიკალური კრიტიკოსებისა და მელომანების უდიდესს ინტერესს იწვევს.

# თბილისში თანამედროვე მუსიკის საღამოები დაიწყო

ეკა ირემაშვილი

თბილისში „თბილისი 2013 – თანამედროვე მუსიკის საღამოები" დაიწყო. ღონისძიებები წელს უკვე მეცხრედ გაიმართება. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ინფორმაციით, სხვადასხვა სახის კულტურული საღამოები 4 ნოემბრამდე გასტანს და ფესტივალის პროგრამაში 7 კონცერტი გაერთიანდება. ფესტივალის პარტნიორები არიან ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ისრაელის საელჩო საქართველოში, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი", გელა კანდელაკის ჩრდილების თეატრი და კინოსტუდია „კვალი XXI".

ფესტივალის მიზანს წარმოადგენს, თანამედროვე მუსიკის სათანადო, მაღალ დონეზე ექსპონირება და გავრცელება. ამ მიზნით ფესტივალი სისტემატურად მასპინძლობს თანამედროვე მუსიკის ექსპერტ-შემსრულებლებს და გამოჩენილ კომპოზიტორებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

წელს ფესტივალი აღნიშნავს ხუთი კომპოზიტორის საიუბილეო თარიღებს: რიხარდ ვაგნერის 200 წლის იუბილეს, ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილეს, კარლ-ჰაინც შტოკჰაუზენის 85 წლის იუბილეს, დიერდლი გეტის 90 წლის იუბილეს, ანდრეი ვოლკონსკის 80 წლის იუბილეს. წლევანდელი ფესტივალის მონაწილეები არიან მუსიკოსები, კომპოზიტორები და შემსრულებლები საქართველოდან, ისრაელიდან, საფრანგეთიდან, მათ შორის კომპოზიტორები ფრანსუა-ბერნარმაში, დანიუხასი, იოსებ ბარდანაშვილი; ანსამბლი ისრაელიდან, დირიჟორი ჟოლტნადი ალექსეი ლიუბიმოვი; რუსთავის ხელოვნების სკოლის გოგონათა გუნდი; თბილისის ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლეები; კონსერვატორიის სტუდენტური გუნდი; რეზო კიკნაძე და ანსამბლი „კონსილია"; სიმებიანი კვარტეტი: ელენე შაშიაშვილი, მარიანა კირაკოზოვა, მარიამ ჩიკვაიძე, გვანცა მათიაშვილი; ნუცა კასრაძე; თამარ ჟვანია; ნინო მაისურაძე; მეგი ჩიხრაძე; გიორგი ბერიაშვილი; ვალერიან შიუკაშვილი; ნათია ბერაია; ნანა ხუბუტია; გელა კანდელაკის ჩრდილების თეატრი. ფესტივალის კონცერტები თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართება.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორები აღნიშნავენ, საჯარო ლექციები და მასტერკლასები ჩატარდება კონსერვატორიის აუდიტორიებში და ელექტრონული მუსიკის ლაბორატორიაში.

# ფრანგი კომპოზიტორი კონსერვატორიაში

ეკა ირემაშვილი

გამეჩნილი ფრანგი კომპოზიტორი ფრანსუა ბერნარ მაში საქართველოშია. იგი კონსერვატორიაში 31 ოქტომბერს კონცერტს გამართავს. ღონისძიება ფესტივალის „თანამედროვე მუსიკის საღამოები" ფარგლებში გაიმართება. კონცერტამდე ფრანგმა ხელოვანმა უკვე ჩაატარა საჯარო ლექცია.

— ფრანსუა ბერნარ მაში ხელოვნების აკადემიის წევრი, კლასიკური ლიტერატურის დოქტორი და XX საუკუნის ფრანგული მუსიკის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა. ის სამი თაობით მუსიკოსების ოჯახში წარმომადგენელია. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი პარალელურად ორ კარიერას ეწეოდა, უნივერსიტეტის პროფესორის და

მუსიკოსის. თავის ქალაქში მიღებული პირველი განათლების შემდეგ, ფორტეპიანოსა და ჰარმონიის პრიზი, იგი მიიღეს ულმის ქუჩაზე მდებარე უმაღლეს ეკოლ ნორმალში ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტზე. მან იქ ოთხი წელი გაატარა რომელიც დაგვირგვინდა შემდეგით: ბერძნულ არქეოლოგიაში უმაღლესი სასწავლო დიპლომა და მისი პირველი საჯარო კონცერტი, ბეთჰოვენის ფესტივალზე ჰოლანდიაში შიფერის მუსიკალური კვლევების ჯგუფის შექმნაში მონაწილეობა, კონსერვატორიაში ოლივიე მესიანის კლასში მიღება და კლასიკურ ლიტერატურაში აგრეგაცია, ანტიკური ხელოვნების ისტორიის ლექტორის პოსტი სორბონის უნივერსიტეტში და მუსიკის ფილოსოფიის პრემია. ალჟირში უმცროს ლეინტენანტად ორწლიანი მსახურის შემდეგ დაბრუნებული, იგი კლასიკური ლიტერატურის მასწავლებელი იყო ნეიში პასტერის ლიცეუმში, შემდეგ პარიზში ლუი-ლე-გრანში. მუსიკოლოგიაში სახელმწიფო დოქტორის წოდების მიღების შემდეგ იგი დაინიშნა უნივერსიტეტის პროფესორად სტრასბურგში, სადაც ათეული წლის მანძილზე მუსიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მან იქ შექმნა პრიმუსის ცენტრი, საფრანგეთში „ტონმეისტერის" სწავლების პირველი

კურსი. კომპოზიტორი აირჩიეს სოციალური მეცნიერებების უმაღლესი სწავლების სკოლის სასწავლო დირექტორად. მწერლის ინტენსიური საქმიანობის პარალელურად, რომელიც აღინიშნება „საფრანგეთის მერკურში" კრიტიკული სტატიების გამოქვეყნებით, თანამედროვე ბერძნულიდან თარგმანებით და მრავალი მისი ნაშრომით, იგი აგრძელებდა კომპოზიტორის საერთაშორისო კარიერას. იგი მიიწვია ჰერმან შერშენმა თავის გრავესანოს სტუდიაში შვეიცარიაში, შემდეგ ამას მოჰყვა მიწვევები ოცზე მეტ ქვეყანაში, როგორებიცაა პოლონეთი, ირანი, ფინეთი, ისრაელი, იაპონია, არგენტინა, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, მექსიკა, კორეა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი იყო თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო საზოგადოების ფრანგული განყოფილების თავმჯდომარე. მრავალ ესთეტიკურ აღმოჩენას შორის, რომლითაც იგი დაინტერესდა ფიგურირებს ლინგვისტური მოდელები. მან ინსტრუმენტულად გადმოიტანა ბერძნული პოემის ფონეტიკური სტრუქტურა „საფუს მელე"-ში. აგრეთვე იყო პიონერი „ხმის ერთი ბგერიდან" მოყოლებული სონოგრამით

ანალიზის გამოყენებაში ინსტრუმენტული ჩაწერის შემუშავებისათვის, რომელიც წინ უძღოდა სკოლას, რომელსაც „სპექტაკლი" უწოდეს. მას შემდეგ კომპოზიტორმა ხშირად გამოიყენა სხვადასხვა იშვიათი და გამქრალი ენების მუსიკალური პოტენციალი და შომოგ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საფრანგეთში გაფიცვას ელიან

საფრანგეთის პროფესიონალურ საფეხბურთო კლუბთა კავშირის გენერალური ასამბლეა გაიმართა, სადაც კატეგორიულად გადაწყვიტეს – გაფიცვა!

თუ რაიმე ცვლილება არ მოხდა, 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით, ლიგა 1-სა და ლიგა 2-ში ფეხბურთელები მინდორზე სათამაშოდ არ გავლენ. საფრანგეთის პროფესიონალურ კლუბთა კავშირი ფანებს აქტიურობისკენ მოუწოდებს. მოძრაობის სახელი და სლოგანი შემდეგნაირია: „ფეხბურთი საფრთხეშია, დავდგეთ ერთად!“

საქმე ისაა, რომ 2014 წელს ძალაში უნდა შევიდეს ახალი მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონი, რომელიც გადასახადს ფეხბურთელებსაც კატასტროფულად გაუზრდის და კლუბებს მათი შენახვა, უბრალოდ, აღარ შეეძლებათ.

ახალი კანონით, ფეხბურთელის, რომელიც წლიურად მილიონზე მეტს გამოიმუშავებს, შემოსავლის 75 პროცენტი გადასახადებში წავა. ამ მხრივ იქ არც ახლაა იდეალური მდგომარეობა – სადღეისოდ, ფრანგულ კლუბს ფეხბურთელის შენახვა 33 პროცენტით უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ინგლისურს, გერმანულს, იტალიურს ან ესპანურს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოთამაშეების ხელფასი კიდევ უფრო დაიბეგრება, ხოლო კლუბი მათ დასაკმაყოფილებლად ასტრონომიულ ანაზღაურებას ვერ გადაუხდის და ფეხბურთელებსაც სხვა ქვეყნებში გადასვლის სურვილი გაუჩნდებათ.

ცხადია, თუ გამორჩეული ფეხბურთელების მასობრივი გადინება დაიწყო, ბოლო დროს მოძლიერებული ჩემპიონატის დონე საგრძნობლად დაიწევს.

არადა, საფეხბურთო სფეროში 25.000 ადამიანია დასაქმებული, პლუს ის გულშემატკივარი, ვისთვისაც ფეხბურთი ზეიმია და ვარაუდობენ, რომ აქციებმა შესაძლოა მასობრივი სახეც მიიღოს.

რას აპირებს და რას მოიფიქრებს ქვეყნის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ეს ჯერჯერობით უცნობია. სპორტის მინისტრი ვალერი ფურნიერონი ადრე უფრო მკაცრი იყო, ბოლო დღეებში კი ცოტა მოლბა, მაგრამ არც გაფიცვას უჭერს მხარს და ყველას მოუწოდებს, ამის გაკეთება გადაიფიქრონ.

– დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს მოძრაობას ბევრი ადამიანი აჰყვება – ის ხალხი, რომლებიც ფეხბურთით ცხოვრობენ და მათი ყოველდღიურობა ფეხბურთის გარეშე წარმოუდგენელია. სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ. ფინანსური კუთხით არც ახლაა სახარბიელო მდგომარეობა და მთავრობა გადასახადების მომატებას აპირებს. ეს სამართლიანი არ არის, – აცხადებს კავშირის პრეზიდენტი ჟან-პიერ ლუველი.

# სესკ ფაბრეგასი: ინგლისური ფეხბურთის ყურებას არაფერი სჯობს

10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრანსესკ ფაბრეგასს პროფესიულ ასპარეზზე დებიუტი ჰქონდა. 2003 წლის 23 ოქტომბერს, ინგლისის ლიგის თასზე „როტერჰემთან“ პირველად შევიდა მოედანზე „არსენალის“ მაისურით.

საინტერესო ის არის, რომ ლონდონელებმა 16 წლის ფაბრეგასის სანაცვლოდ „ბარსელონას“ 700.000 გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს და ბონუსად ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტიც დაუყოლეს. ეს მაშინ არაადეკვატურად იქნა შეფასებული, თუმცა გავიდა წლები და...

ფაბრეგასთან ინტერვიუ ინგლისურ მედიაში გამოქვეყნდა.

***– 16 წლისას ალბათ ძალიან გაგიჭირდათ, როცა „არსენალში“ პირველად ითამაშეთ.***

– სიმართლე გითხრათ, 24 წლისას ბარსელონაში დაბრუნება უფრო გამიჭირდა, ვიდრე მაშინ ლონდონში საცხოვრებლად გადასვლა. ბევრი ფიქრობდა, რომ „ბარსელონაში“ მესისთან სათამაშოდ და ტიტულების მოსაგებად მივდიოდი. სინამდვილეში კი, ძირითადში თამაშის უფლების მოსაპოვებლად ორჯერ მეტი შრომა მიწევდა. როცა ლონდონში მივდიოდი, „ჟუვენილ ბ“-ს ფეხბურთელს დასაკარგი არაფერი მქონდა. „არსენალმა“ ძირითად გუნდთან ვარჯიში, ენის სწავლა და ახალ კულტურასთან გაცნობა შემომთავაზა. ეს ყოველივე უფრო მიზიდავდა, ვიდრე მაშინებდა.

***– გაქვთ თუ არა ისეთი საფეხბურთო ღირსება, რაც „ბარსელონაში“ არ გქონდათ და „არსენალში“ შეიძინეთ?***

– დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი – 16 წლის ანრის, ბერგკამპის, პირესისა და ვიეირას გვერდით ვთამაშობდი, 17-ისას უკვე 50 მატჩი მქონდა ჩატარებული, 18-ისამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვითამაშე, 21 წლისამ ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, ორი წლის მერე კი – მსოფლიო. „არსენალმა“ ჩემს პროგრესს ხელი შეუწყო. 18 წლისას უკვე უზარმაზარი ტვირთი მქონდა მხრებზე. 21-ის ვიყავი, როცა კაპიტნად ამირჩიეს.

***– „არსენალი“ რატომ ვერ ახერხებდა ტიტულების მოგებას?***

– არ ვიცი, რთულია თქმა. მიზეზი ბევრი იყო, ყოველთვის რაღაც ხდებოდა. „მანჩესტერს“ ბოლომდე ვებრძოდით, მერე კი მოულოდნელად ჩავარდნა გვეწყებოდა. ბრძოლაში ჩაბმული იგებდი, რომ ვიღაც იმტვრეოდა, ვიღაც წასვლას აპირებდა.



***– პრობლემა ფსიქოლოგიური ხომ არ იყო?***

– შესაძლოა. ამის დასტური შეიძლება „ბირმინგემთან“ თასის ფინალში წაგება იყოს, თანაც ისე, როგორც ეს ჩვენ მოვახერხეთ... წარმოდგენაც კი ძნელია. ამის შემდეგ ახალგაზრდებს გონზე მოსვლა გვიჭირდა.

***– იქნებ ეს პროცესები არსენ ვენგერს უფრო მეტად უნდა ეკონტროლებინა?***

– არა, რადგან ჩვენისთანა ახალგაზრდულ გუნდში ძნელად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც წინ გაგვიძღვებოდა. მუდმივად ვფიქრობდით, რომ შემდეგში გამოგვივიდოდა. ფანები კი ჩვენზე მაშინაც ხმამაღლა მღეროდნენ, როცა ცუდად ვთამაშობდით. ჩემი აზრით, „არსენალი“ სწორედ ახლაა იდეალურად დაბალანსებული. გუნდში არიან ზეგამოცდილი ფეხბურთელები, მაგალითად, მერტეზაკერი და პოდოლსკი. იმედია, რომ ბოლოს და ბოლოს ისევ დადგა ამ გუნდის დრო. ამ ეტაპზე ის სოლიდურად გამოიყურება. ვნახოთ, ფინიში როგორი გამოვა.

***– იოზილის ტრანსფერზე რას ფიქრობთ?***

– ბრწყინვალე გადაწყვეტილება იყო, რადგან იოზილის ყიდვის შანსი თუკი ჩნდება, ხელიდან მისი გაშვება არ შეიძლება. „არსენალში“, მესუთის გარდა, სხვებიც არიან მსგავსი სტილის ფეხბურთელები, მაგალითად, უილშირი, რემსი, კასორლა და როსიცკი. ცოტა განსხვავებულია უოლკოტი, თუმცა გუნდისთვის თეოც აუცილებელია, ის შეტევას განსაკუთრებულ სიღრმეს მატებს. ამიტომაც იყო, რომ გერმანელი იოლად ჩაეწერა გუნდში.

***– რომელი ჩემპიონატი უფრო რთულია, ინგლისის თუ ესპანეთის?***

– რთული სათქმელია. პრემიერლიგაში მოგება უფრო ძნელია, ინდივიდუალურად სხვების ფონზე გამორჩევა კი იოლი. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ინგლისური ფეხბურთის ყურებას არაფერი სჯობს.

***– რამდენად წარმატებულები შეიძლება იყვნენ რემსი და უილშირი?***

– გააჩნია, თავად რამდენად მოინდომებენ. რემსი ფიზიკური მომზადებით მაოცებს. არადა, ვუყურებ და ვერ ვხვდები, რა აქვს განსაკუთრებული. თუმცა, მეორე მხრივ, ის ყველაფერს უმაღლეს დონეზე აკეთებს. მან გატანაც აქტიურად დაიწყო და საგოლე გადაცემების შესრულებაც. რაც მთავარია, აარონს სჯერა საკუთარი თავის. უილშირი არატიპური ინგლისელია. ის არც ჯერარდია და არც ლემპარდი. მას უფრო მოკლე პასებით თამაში ეხერხება.

***– რემსის საკუთარ თავს არ ამსგავსებთ?***

– ხშირად ვუყურებ მის თამაშს და საკუთარ თავს ვეკითხები, იქნება ეს მე ვაფერხებდი მის პროგრესს? ხანდახან ნამდვილად საჭიროა ვიღაცის წასვლა, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ხმამაღლა თქვას – მე აქ ვარ. რემსიმაც და უილშირმაც უკვე მოასწრეს უმძიმესი ტრავმების გადატანა. წინ ორივეს დიდი მომავალი აქვს.

***– „იუნაიტედის“ პრობლემების გათვალისწინებით, „არსენალს“ საუკეთესო შანსი აქვს ჩემპიონატის მოსაგებად?***

– „მანჩესტერში“ ყოველთვის ამტკიცებენ, რომ ისინი კრიზისში არიან. შედეგად, ისინი ყოველთვის იქ აღმოჩნდებიან ხოლმე, სადაც არ ელიან. გათვლა, დამყარებული იმაზე, რომ „იუნაიტედი“ კრიზისშია, თავიდანვე მცდარია. როცა მეუბნებიან ხოლმე, შეხედე, „მანჩესტერი“ ის აღარ არისო, ჩემი პასუხი ყოველთვის ერთია, რომ ეს გუნდი ჯერ კიდევ დაგვიმტკიცებს საკუთარ პოტენციალს – მათ ტყუილად არ ეძახიან „ეშმაკებს“.

# გადათამაშება არ იქნება – არჩასათვლელი გოლი, ჩაითვალა

მთელი საფეხბურთო გერმანია გასულ კვირას „ლევერკუზენისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩში შტეფან კისლინგის მიერ გატანილი სკანდალური გოლის გარშემო საუბრობდა, ახლა კი ამ არცთუ პატარახნიან დისკუსიას წერტილი დაესვა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა: გადათამაშება არ დაინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფიქსირებული შედეგი (2:1 „ლევერკუზენის“ სასარგებლოდ) ძალაში რჩება.

სხდომის დაწყებამდე მხარეები კარგ ხასიათზე იყვნენ: კისლინგმა ამაზე იხუმრა კიდეც, როგორც იქნა, გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან მოწვევა მომივიდა და ამაზე უარს როგორ ვიტყოდიო. ჰოფენჰაიმელები კი, რა თქმა უნდა, ცუდ განწყობაზე იყვნენ – როგორც ჩანს, ხვდებოდნენ, რომ მათი პროტესტი სასურველ ვერდიქტს ვერ გამოიტანდა.

განაჩენი მოსამართლე რიხტერ ლორენცმა მხარეების მოსმენის შემდეგ გამოაცხადა: გადათამაშება არ იქნება!

– გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული სასამართლო დამოუკიდებელია. ჩვენ არ ვიღებთ საფეხბურთო კავშირის, საფეხბურთო ლიგის ან ფიფას მოსაწონ გადაწყვეტილებებს. ყველა კანონის გათვალისწინებით, მატჩის გადათამაშების საფუძველი არ არსებობს. ერთადერთი გამოსავალი შედეგის ძალაში დატოვებაა. კი, მსაჯის გადაწყვეტილება არასწორი იყო, მაგრამ არასწორი გადაწყვეტილებებიც ხომ სისტემის ნაწილია.

შეგახსენებთ, რომ კისლიგს გოლი ჰოფენჰაიმელთა კარში არ გაუტანია – ბურთი გარედან მოხვდა ბადეს, რომ გახეული ყოფილა და ისე აღმოჩნდა კარში. ეს ვერც მსაჯმა და ვერც ფეხბურთელებმა თავდაპირველად ვერ დაინახეს და გოლიც ჩაითვალა.

# ბლატერის ნათქვამმა რონალდუ და რეალი გაანაწყენა

ზეპ ბლატერი ოქსფორდის უნივერსიტეტს ეწვია და სტუდენტებით სავსე აუდიტორიასთან ჟურნალისტს 45 წუთიანი ინტერვიუ მისცა. საუბრის დასასრულს მას მარტივი კითხვა დაუსვეს: კრიშტიანუ რონალდუ თუ ლიონელ მესი... ბლატერმა, სანამ პასუხს გასცემდა, მთელი მისი მჭერმეტყველება და სამსახიობო ოსტატობა გამოავლინა.

ზეპმა თქვა, რომ ამ ორი ფეხბურთელის გვერდით აუცილებლად ზლატან იბრაჰიმოვიჩიც უნდა იდგესო.

– თქვენ მკითხეთ, მესი თუ რონალდუ? პირველ რიგში გეტყვით, რომ ორივე განსაკუთრებული ფეხბურთელია, მაგრამ განსხვავებული ტიპის. მესი კარგი ბიჭია. ნებისმიერი დედ-მამა ინატრებდა მისნაირ შვილს. ის ძალიან სწრაფია და ის ფეხბურთის თამაშს და ბურთით ცეკვას ერთდროულად ახერხებს. რაც შეეხება რონალდუს, ის საფეხბურთო მოედანზე ნამდვილი „მეთაურია“. ფეხბურთს მრავალი მხარე აქვს, მაგრამ კარგია, როცა მოედანზე ლიდერის ტიპის ფეხბურთელები არიან. შეუძლებელია ყველა ერთნაირი იყოს. სწორედ ეს ანიჭებს ფეხბურთს დამატებით სიცოცხლეს. ის ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს სალონებში, მაგრამ ეს არ არის არსებითად მნიშვნელოვანი. არ შემიძლია იმის თქმა თუ ვინ მიიღებს „ოქროს ბურთს“, ამას მხოლოდ იანვარში გავიგებთ. მე ორივე მომწონს, მაგრამ უფრო მესის გამოვყოფ, – განაცხადა ბლატერმა და მესის მოქმედების იმიტაცია პირდაპირ სცენაზე გააკეთა.

ფეხბურთელის მასხრად აგდებისთვის თავად პორტუგალიელიც გაცოფდა და მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობაც. მათ ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერისგან ბოდიშის მოხდა ოფიციალურად მოითხოვეს.

ოფიციალურობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბლატერმა სოციალური ქსელის საშუალებით პორტუგალიელ თავდამსხმელს ბოდიში უკვე მოუხადა. ბლატერის განცხადებით, ვერ წარმოიდგენდა თუ მისი სიტყვები, რომ მისი რჩეული მესია და ოქროს ბურთს ის იმსახურებს, რონალდუს გაანაწყენებდა.

– ძვირფასო რონალდუ, თუ ჩემმა განცხადებამ შენზე ცუდად იმოქმედა, ბოდიშს გიხდი. შენი გაბრაზება არც მიფიქრია. მე ის ვთქვი, რომ ჩვენ ბევრი პროფესიონალი ფეხბურთელი გვყავს და ერთ-ერთი შენ ხარ. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ.

მიუხედავად ამისა, კიდევ ერთი პორტუგალიელი, ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილი ფეხბურთელი პაულუ ფუტრე ფიფას პრეზიდენტს აკრიტიკებს და არასერიოზულ ადამიანს უწოდებს.

– არ მესმის ეს ადამიანი რატომ უნდა განაგებდეს ფეხბურთს. გაბრაზებული ვარ, რადგან მისი სიტყვები, რომ „ოქროს ბურთს“ მესი იმსახურებს, უსამართლოა. ძალიან კარგად ვიცნობ კრიშტიანუ რონალდუს და ის არამარტო დიდი ფეხბურთელი, არამედ კარგი შვილი და მეგობარია. რაც შეეხება ოქროს ბურთს, ეს ჯილდო ნამდვილი ფარსია. ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მიიღებს მას. ბლატერს კრიშტიანუ ეზიზღება. ეს ყველასთვის ცნობილია და სწორედ ის მაწუხებს, რომ ამ ზიზღმა შეიძლება ფეხბურთელსა და პორტუგალიის ნაკრებს პრობლემები შეუქმნას. დღეიდან ბლატერი პორტუგალიაში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდება. რონალდუ კი მოედანზე დაამტკიცებს, რომ საუკეთესოა, – განაცხადა ფუტრემ.

# ფაჩულია იწყებს, შენგელიას დ ლიგას უწინასწარმეტყველებენ

ნბა-ს რეგულარული სეზონი დაიწყო. ზაზა ფაჩულია თავის პირველ მატჩს დღეს დილით ჩაატარებდა „ნიუ იორკ ნიკსთან“, ხოლო მეორე ქართველ კალათბურთელს, თორნიკე შენგელიას ჯერ მოცდა მოუწევს.

ზაფხულში მიღებული ტრავმის გამო თორნიკემ ევროპის ჩემპიონატი და საგამოფენო მატჩები გამოტოვა. სწორედ ამიტომ, 22 წლის ქართველის სათამაშო წუთები ლიმიტირებული იქნება.

თუმცა, მთავარი მიზეზი კი, რა თქმა უნდა, „ბრუკლინში“ განხორციელებული ცვლილებებია, რომლის შედეგად, გუნდის შემადგენლობა ერთ-ერთი ყველაზე ვარსკვლავური გახდა ლიგაში.

– თორნიკე (თოკო) შენგელია 22 წლის მსუბუქი ფორვარდია „ბრუკლინ ნეთსში“, რომელიც „სიქსერსმა“ შარშანდელ დრაფტში აირჩია, თუმცა მას „ნეთსმა“ გაუფორმა 2-წლიანი კონტრაქტი. თოკოს მე-3 ნომრად თამაში შეუძლია, მაგრამ გასულ სეზონში მან ეს ძალიან იშვიათად მოახერხა, რადგან შემადგენლობა ფორვარდებით გადატვირთული იყო. ის მხოლოდ 19 მატჩში გამოჩნდა და თამაშში საშუალოდ 5 წუთს გამოდიოდა, რომლის დროსაც 1,6 ქულას და 1,2 მოხსნას აგროვებდა. მისი საუკეთესო მატჩი 15 აპრილს შედგა „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ – 25 წუთში მან 11 ქულას და 11 მოხსნას მოუყარა თავი. თუმცა დიდი ნაწილი დროისა მან დ ლიგაში, „სფრინგფილდ არმორში“ გაატარა.

რა იქნება ამ სეზონში? „ნეთსის“ შემადგენლობა საინტერესოა. ის სავსეა ვეტერანი ვარსკვლავებით, რომელთაც უკვე ყველაფერი დაამტკიცეს და ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომელთაც ჯერ დასამტკიცებელი ბევრი აქვთ.

თოკოს წინა სეზონში შანსი თითქმის არ მიეცა და ახლა, 2013-14 წლების სეზონშიც მისი მთავარი იმედი ამ შანსის მიღება იქნება – ისეთის, როგორიც მან ვაშინგტონში მიიღო და გამოიყენა კიდევაც.

ჯერჯერობით მას ძალიან ბევრი აქვს საბრძოლო საამისოდ. მის წინ დგანან პოლ პირსი, ალენ ანდერსონი, მირზა ტელეტოვიჩი და ანდრეი კირილენკო.

მდგომარეობა ისეთია, რომ თოკო კიდევ ბევრ დროს გაატარებს განათხოვრებით „სფრინგფილდში“. ამ სეზონში შენგელია დაახლოებით 30 მატჩს ითამაშებს, თუმცა არა გვგონია, მისმა სტატისტიკამ დიდად მოიმატოს, – წერს ამერიკული პრესა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-მალაგა ........................ 0:0
სელტა-ბარსელონა ........................ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 10 | 1 | 0 | 33-7 | 31 |
| 2.ატლეტიკო | 10 | 9 | 0 | 1 | 26-7 | 27 |
| 3.რეალი | 10 | 7 | 1 | 2 | 20-11 | 22 |
| 4.ვილიარეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| 5.ბილბაო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-13 | 19 |
| 6.ხეტაფე | 10 | 5 | 1 | 4 | 14-12 | 16 |
| 7.ლევანტე | 10 | 4 | 4 | 2 | 12-14 | 16 |
| 8.ესპანიოლი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-14 | 15 |
| 9.სოსიედადი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 10.სევილია | 10 | 3 | 4 | 3 | 17-17 | 13 |
| 11.ვალენსია | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 12.ელჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 10-13 | 12 |
| 13.გრანადა | 10 | 3 | 2 | 5 | 6-10 | 11 |
| 14.ვალიადოლიდი | 10 | 2 | 4 | 4 | 12-15 | 10 |
| 15.მალაგა | 11 | 2 | 4 | 5 | 11-14 | 10 |
| 16.სელტა | 11 | 2 | 3 | 6 | 13-16 | 9 |
| 17.რაიო | 10 | 3 | 0 | 7 | 7-24 | 9 |
| 18.ბეტისი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 19.ოსასუნა | 10 | 2 | 1 | 7 | 7-15 | 7 |
| 20.ალმერია | 10 | 0 | 3 | 7 | 11-23 | 3 |

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ინტერი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 9 | 9 | 0 | 0 | 23-1 | 27 |
| 2.ნაპოლი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-6 | 22 |
| 3.იუვენტუსი | 9 | 7 | 1 | 1 | 18-10 | 22 |
| 4.ინტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 24-12 | 19 |
| 5.ფიორენტინა | 9 | 5 | 3 | 1 | 19-11 | 18 |
| 6.ვერონა | 9 | 5 | 1 | 3 | 18-16 | 16 |
| 7.ლაციო | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| 8.ატალანტა | 10 | 4 | 1 | 5 | 12-13 | 13 |
| 9.პარმა | 9 | 3 | 3 | 3 | 16-17 | 12 |
| 10.მილანი | 9 | 3 | 2 | 4 | 16-16 | 11 |
| 11.უდინეზე | 9 | 3 | 1 | 5 | 9-10 | 10 |
| 12.ტორინო | 9 | 2 | 4 | 3 | 13-15 | 10 |
| 13.კალიარი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| 14.სამპდორია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 15.ლივორნო | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 16.ჯენოა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 |
| 17.კატანია | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 18.ბოლონია | 9 | 1 | 3 | 5 | 10-22 | 6 |
| 19.სასუოლო | 9 | 1 | 3 | 5 | 7-22 | 6 |
| 20.კიევო | 9 | 1 | 1 | 7 | 7-17 | 4 |

**იტალია. სერია ბ**

ჩიტადელა-აველინო ........................ 1:2

**საფრანგეთი. თასი**

ბასტია-აიაჩო ........................ 1:0
ვალანსიენი-ტრუა ........................ 1:3
კრეტეი-ტულუზა ........................ 1:3
ლილი-ოსერი ........................ 0:1(დდ)
რენი-ნანსი ........................ 2:1(დდ)
ტური-ამიენი ........................ 3:1
ნანტი-ლორიენი ........................ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-პიასტი ........................ 4:0
ვისლა-ვიძევი ........................ 3:0

### კალათბურთი

**ნბა.**

**რეგულარული სეზონი**

ინდიანა-ორლანდო ........................ 97:87
მაიამი-ჩიკაგო ........................ 107:95
ლეიკერსი-კლიპერსი ........................ 116:103

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

მონრეალი-დალასი ........................ 2:1
აილენდერსი-რეინჯერსი ........................ 2:3
ფილადელფია-ანაჰაიმი ........................ 2:3
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი ........................ 2:1
სენტ ლუისი-ვინიპეგი ........................ 3:2
ჩიკაგო-ოტავა ........................ 6:5
ედმონტონი-ტორონტო ........................ 0:4
ფინიქსი-ლოს ანჯელესი ........................ 3:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# კვიპროსში ღალიას მონასტრის სარეაბილიტაციო პროექტი განახლდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სში შემავალი ღვთისმშობლის, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზისა ტაძრებისა და კომპლექსის აღმოსავლეთით, 2.5 კილომეტრის დაშორებით მდებარე ბერების სენაკის სრული არქეოლოგიური კვლევები. საკონსერვაციო სამუშაოები კი ჩაუტარდა ღვთისმშობლის ტაძარს. ის 2013 წელს ორ უწყებას შორის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, მიმდინარე წელს დაიგეგმა საერთაშორისო მემორანდუმის გაფორმება. დოკუმენტში ხაზგასმული იქნება თანამშრომლობის აუცილებლობა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, სარესტავრაციო-საკონსერვაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, – ამბობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

ურბანული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დაფინანსების საკითხებზე განხილვა ჩატარდა კულტურის სამინისტროში, რომლის ინიციატორიც „თბილისის ჰამქარი" იყო. შეხვედრაზე დაიგეგმა საუბარი უცხოელ ექსპერტებთან ურბანული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ასევე მიწვეული იყვნენ კულტურული მემკვიდრეობის დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოში მოქმედი სამშენებლო დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე წარმომადგენლები ეკონომიკის, ფინანსთა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის ჰამქარმა მოიწვია ექსპერტები ნიდერლანდებიდან ალე ელბერსი და ესტენ ვან სტეეკელენბური, რომელთაც ნიდერლანდებში, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ქვეყნებში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის დიდი გამოცდილება აქვთ. ალე ელბერსი არის ავტორი კანონისა ნიდერლანდებში მემკვიდრეობის დაცვის და დაფინანსების შესახებ.

შეხვედრაზე დასწრების სურვილი გამოთქვეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბესიკ მაცაბერიძემ, თბილისის ჰამქარის წევრებმა. შეხვედრაზე უცხოელ ექსპერტებთან ერთად განხილულ იქნა მემკვიდრეობის დაცვის, მართვის და დაფინანსების მექანიზმები საერთაშორისო გამოცდილების მაგალითებზე; მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში არსებულ სიტუაციასა და პრობლემების გადაწყვეტის გზებზე. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა ქართულ მხარეს რეკომენდაციებიც მიაწოდეს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში 2013 წლის 25 სექტემბერს ძალაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მერიის ნაცვლად, დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების ნებართვის გამცემ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

– 2013 წლის 25 სექტემბერს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად და სამინისტროს მიერ 2009 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ეროვნული სააგენტო ახორციელებს ძეგლთა დაცვის სფეროში სხვადასხვა სახის სანებართვო მომსახურებას. მათ შორის უზრუნველყოფს თბილისში არსებული ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებზე სამუშაოების ნებართვების გაცემისა და მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობას.

საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის თბილისში არსებულ ძეგლებზე სამუშაოების ნებართვის მისაღებად საჭიროა დოკუმენტაცია: განცხადება; საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმატი; ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების (რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია) საპროექტო დოკუმენტაცია; მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; ძეგლზე გადაუდებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; მოძრავი ძეგლის, ასევე უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტის (გარდა პალეოგრაფიული და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლებისა) კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია და უძრავი ძეგლის კვლევითი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

მცხეთაში გაიმართა მცხეთის საშუალო სკოლების უფროსკლასელთა დაჯილდოების ცერემონია, რომლითაც მონაწილეობა მიიღეს ისტორიული მცხეთის მკვიდრი მოსახლეობისათვის გამართულ სემინარების ციკლში კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობისა და მათი დაცვის შესახებ. ღონისძიების პარტნიორობა ითავა პროექტმა „ომისაგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქები", საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და მცხეთის მუნიციპალიტეტმა.

სკოლის მოსწავლეები დააჯილდოვეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ და „ომისაგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქების" პროექტის კოორდინატორმა კლაუდიო ჩიმინომ.

ღონისძიება მოეწყო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს იკომოს საქართველო. დაჯილდოების ცერემონია მცხეთის სპორტულ სკოლაში გაიმართა.

კითხვაზე თუ როგორია სვეტიცხოვლის საკონსერვაციო სამუშაოების ეტაპები, პასუხს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელთან მერაბ ბოჭოიძესთან ერთად პროფესორი ჯორჯიო კროჩი განიხილავდა. ის პიზის კოშკის, კოლოზეუმის, ტრაიანეს ბაზრის, ნერონის სასახლის, ასიზის ბაზილიკის, აია სოფიასა და აქსუმის სტელას საკონსერვაციო სამუშაოების ავტორია. პროფესორი საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოწვევით ჩამოვიდა და მერაბ ბოჭოიძესთან ერთად სვეტიცხოვლის საკითხზე მუშაობა გადაწყვიტა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ჯორჯიო კროჩთან ერთად ქვეყანაში ასევე მსოფლიო რანგის ინჟინერი კრისტიანო რუსოც იქნა მოწვეული. ძეგლთა დაცვის სფეროში კროჩის და რუსოს სახელები სტუდიო ეს-პი-ეს-ს უკავშირდება. ეს სტუდია გეოლოგიური და ქვის სტრუქტურის კვლევის დარგში მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტების შემსრულებელია, რაც საქართველოს უძველესი საკათედრო ტაძრის სწორი საკონსერვაციო მეთოდოლოგიის განსაზღვრისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას წარმოადგენს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სვეტიცხოვლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში მსოფლიო რანგის სპეციალისტების ჩართვისთვის და მათი გამოცდილების გაზიარებისთვის საქართველოში ჩამოსვლის მოლაპარაკება ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობილი ტანდემი მცხეთაში ჩავიდა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის საკონსერვაციო მდგომარეობის წინასწარულ კვლევაზე იმუშავა. სამუშაო მისიის დროს დაიგეგმა ვიდეოენდოსკოპირების განხორციელება და ბზარების მონიტორინგის სისტემიდან მონაცემების მიღება და დამუშავება. ამასთანავე, გადაწყდა მუშაობის დაწყება ტაძრის სტრუქტურული უსაფრთხოების შეფასების, სამოქმედო გეგმისა და რეკომენდაციების შემუშავების მიმართულებით.

პროფესორ ჯორჯიო კროჩისა და ინჟინერ კრისტიანო რუსოს მეორე სამუშაო ვიზიტი დეკემბრის ბოლოს არის დაგეგმილი, რომლის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტები ქართველი კოლეგებისთვის საჯარო ლექციას გამართავენ და მათ ჩატარებული კვლევების შედეგებს გააცნობენ.

დიაგნოსტიკური მონაცემები შესაძლებელს გახდის სვეტიცხოვლისთვის შეირჩეს საუკეთესო მეთოდოლოგია სამომავლო ინტეგრირებული საკონსერვაციო გეგმისა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებისთვის.

სვეტიცხოვლის ტაძრის კონსერვაციის გეგმის შემუშავება სრულად შეესაბამება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის რეკომენდაციებს და შეიძლება იქნას მიჩნეული როგორც წინგადადგმული ნაბიჯი მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ დადგენილი გამოსასწორებელი ზომების შესრულების მიმართულებით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ ოფისში ევროკომისიის საჯარო სამსახურების დაძმობილების თვინინგის პროექტის „ინსტიტუციონალური ღონისძიებების განხორციელების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვის მოქნილი სისტემის დანერგვა" პირველი კვარტალური სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით ჩამოსული პროექტის ლიდერი ჯანნი ბონაზი, პროექტის უმცროსი ლიდერი მიქაელ ლაენბურგი და პროექტის ფინანსური კოორდინატორი პიერო ფიბბი, ასევე, პროექტის მუდმივი მრჩეველი ალესანდრო ბიანკი, საქართველოში ევროდელეგაციის მისიის წარმომადგენლები ნინო კოჩიშვილი და ოლივერ რაისნერი, ასევე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პროგრამების ადმინისტრირების სამსახურის წარმომადგენლები რომან კაკულია და ეკატერინე ბარამიძე დაესწრნენ. სამუშაო შეხვედრაზე ტვინინგის პროექტის პირველ კვარტალში განხორციელებული ქმედებების ანგარიში განიხილეს. შეჯერდა სამომავლო გეგმები და დასახელდა და დამტკიცდა პროექტის კომპონენტ ლიდერები პროექტის მიმართულებების მართვის უზრუნველსაყოფად. კომპონენტი 1: კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირებისა და მართვის ეფექტური მოდელის შემუშავების ხელშეწყობა; კომპონენტი 2: კულტურული მემკვიდრეობის სექტორის სამართლებრივი ჩარჩოსა და მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობა– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის დელეგირებული ფუნქციების გათვალისწინებით; კომპონენტი 3: სააგენტოს თანამშრომლებისა და სექტორში მონაწილე სხვა პირების უნარებისა და ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა.

ევროკავშირმა საჯარო სამსახურების დაძმობილების ტვინინგის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად საქართველოში ახალი პროექტი დაიწყო. ტვინინგის პროექტის ოფიციალური გახსნის ცერემონია ამ ზაფხულს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციონალური განვითარებისთვის ევროკავშირმა 1 მილიონი ევრო გამოყო. პროგრამა მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას და საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვას.

18 თვის განმავლობაში, იტალიის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო, დანიის კულტურის სააგენტოსთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად სამ ძირითად მიმართულებაზე იმუშავებს: ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირებისა და მართვის ეფექტური მოდელის შემუშავება; კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება.

პროექტი საჯარო სამსახურების დაძმობილების „ტვინინგის" ფორმატით ხორციელდება. პროექტი გამოცდილების გაზიარების და ევროკავშირის სტანდარტებთან კანონმდებლობისა და რეგულაციების ჰარმონიზაციის მიზნით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სტრუქტურებს და საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციებს აკავშირებს.

ტვინინგის გახსნის ღონისძიებას დაესწრნენ და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, ევროკავშირის წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანი ბატონ ბორის იაროშევიჩი, იტალიის ელჩი ფედერიკა ფავი და დანიის სამეფოს საპატიო კონსული ესბენ ემბორგი.

დაძმობილება „ტვინინგი" 2003 წლიდან ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ საბჭოთა ქვეყნების ნაწილსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებზე. დაძმობილება „ტვინინგი" ევროკომიიის ინიციატივაა, რომელიც კანდიდატ ქვეყნების, საჭირო უნარების განვითარების, გამოცდილების მიღების და ევროკავშირის კანონმდებლობის დანერგვისა და აღსრულების დახმარებისთვის შეიქმნა. ეს პროექტები აკავშირებენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო სექტორს, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. დაძმობილების „ტვინინგის" პროექტებმა ბენეფიციარი ქვეყნისთვის კონკრეტული შედეგები უნდა გამოიღოს, ამ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 2. სითხის, აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 3. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 4. შტატი აშშ-ში; 8. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. საფრენი აპარატი, მართული აეროსტატი; 11. სოფელი საჩხერის რაიონში; 12. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. ქალაქი ჩეხეთში; 16. ამერიკელი მწერალი რომან „ფინანსისტი"-ს ავტორი; 17. შაქრის ლერწმის შაქარი; 19. კუთხე საქართველოში; 21. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი.

**თარაზულად:** 5. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 7. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 10. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანელი მეტალურგიული კომპანია; 15. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ისტორიული ციხე ქალაქ მცხეთის მახლობლად; 20. დიდი დასახლებული პუნქტი; 22. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 23. მყარი სხეული, რომელსაც ბუნებრივად აქვს მრავალკუთხედის ფორმა; 24. რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჯარა; 2. რაგბი; 3. ოპიუმი; 5. პასკა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ლივადია; 12. სურჩინა; 14. უტზონი; 15. რაპიდი; 16. სტელა.

**თარაზულად**: 1. ჯუღური; 4. აპალაჩი; 7. გოგენი; 9. მირაჟი; 11. ალილუია; 12. საინგილო; 13. ჯაფარა; 17. რატუშა; 19. სნოუბორდი; 20. ვილაიეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ლინატე; 2. გიენოსი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. რეკორდი; 12. ყავა; 14. შინი; 16. რენეგატი; 17. ნეისმიტი; 18. კომეტა; 21. ზებრა.

**თარაზულად**: 5. მორიკონე; 6. ბენეტონი; 7. ინტერპოლი; 10. ბატიკა; 13. უქნარა; 15. ევკომია; 18. ბემოლი; 20. ოლივიე; 22. გემოვნება; 23. ატრიბუტი; 24. ტრავესტა.

# ფრანგი კომპოზიტორი კონსერვატორიაში

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვთავაზა სტრუქტურული ანალიზის მეთოდები, რომლის შთაგონების წყაროც მისი ლინგვისტური კვლევები იყო. კიდევ ერთი ინტერესი მის ნაშრომებში არის ის ინტერესი, რომელსაც იგი იჩენს შორეული მუსიკალური კულტურების მიმართ. „კემიტით" და განსაკუთრებით კი მისი სასწავლო მოგზაურობის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ამის შესახებ მინიშნებები გააკეთა სათაურებში, როგორიცაა „კორვარი", „ნალუანი", „ტემბოქტუ", „გუნტურ მადუ". მან დაწერა პიესა გამელანისთვის, ხმა და მონაკვეთები, რომელსაც ეწოდა „მელანგა". ყველაზე უჩვეულო მოდელები, რომლებიც ფრანსუა-ბერნარ მაშმა გამოიყენა უდაოდ არის ის უხეში ჩაწერილი ბგერები, რომლებმაც იმ ესტეტიკის მთავარი ხაზი განსაზღვრა, რომელსაც „ნატურალისტურს" უწოდებენ. მან მართლაც ხშირად გამოიყენა ელემენტარული, ან ცხოველური ბგერები ინსტრუმენტულ ჩანაწერებში. ეს ნებაყოფლობითი წაშლა ჩვეული საზღვრებისა ბუნებასა და კულტურას შორის ჩნდება ნაწარმოებებში როგორიცაა „დავიწყების რიტუალი", რომელშიც ხმაურები ზედმიწევნითაა გადატანილი და ინტეგრირებული პარტიტურაში. მისმა, როგორც ბერძნული ენის მცოდნის საქმიანობამ მას ხშირად გააკეთებინა მინიშნებები მითის ცხოველ ძალებზე, რომელიც განსაკუთრებით ფიგურირებს ნაწარმოებებში როგორიცაა „დანაე", „ანდრომედა", „კასანდრა", „სტიქსი", „ხნუმი", „დროის შესართავი". ორი მთავარი ნაწარმოები,

რომლებსაც შესაბამისად ჰქვია „მუსიკა, მითი, ბუნება", ითარგმნა ინგლისურად და იტალიურად, და უფრო მოგვიანებით „მუსიკა მხოლობით რიცხვში", აჩვენებს

და ხსნის მის სხვადასხვა მიდგომას, რომელიც ფრანსუა-ბერნარ მაშს წარმოადგენს როგორც XX საუკუნის მუსიკის ისტორიის ძალიან ორიგინალურ ფიგურას, – განმარტა ღონისძიების კოორდინატორმა მარიამ კვესელავამ.

# ვლადიმერ პუტინი სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე მიესალმება ყველას, „განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა“



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, სოჭის ზამთრის ოლიმპიადა მიესალმება ყველას, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა. ამის შესახებ „სიენენი“ იუწყება.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა და გულშემატკივრებმაც სოჭში თავი კომფორტულად იგრძნონ განურჩევლად ეროვნების, რასისა და სექსუალური ორიენტაციისა“, – განაცხადა პუტინმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ტომას ბახთან შეხვედრისას.

მიმდინარე წლის ივნისში პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც რუსეთში ერთსქესიანთა ურთიერთობების პროპაგანდასა და ხელშეწყობას კრძალვას. ამის გამო, პროტესტის ნიშნად ბევრმა ცნობილმა ადამიანმა სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირება გადაწყვიტა. მათ შორის იყო პოპ-მომღერალი შერიც, რომელმაც უარი თქვა სოჭში გამოსვლაზე.

2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ასპარეზობა ზამთრის სპორტის მრავალ სახეობაში, 2014 წლის 7-23 თებერვალს შედგება. მასპინძელი ქალაქი სოჭი, 2007 წლის 4 ივლისს შეარჩია 119-ე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ქალაქ გვატემალაში. ეს რუსეთისთვის რიგით მეორე ოლიმპიური თამაშები იქნება 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიადის შემდეგ, რომელიც მოსკოვში ჩატარდა.

# ინდოეთში ავარიის შედეგად 42 ადამიანი დაიღუპა



სულ მცირე 42 ადამიანი დაიღუპა ინდოეთში, ავტობუსის ავარიის შედეგად. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, ავტობუსი წყლის მილს შეეჯახა, რა დროსაც ბენზინის ავზი აფეთქდა. „ვოლვოს“ მარკის ავტობუსში 50 ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგან შვიდი, მათ შორის მძღოლი სიკვდილს გადაურჩა. პოლიციის ცნობით, მძღოლი და მისი დამხმარე, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან გაქცევას შეეცადნენ, დაპატიმრებული არიან.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ინციდენტის დროს მგზავრების უმრავლესობას ეძინა. ავტობუსი ბანგალორიდან ჰაიდარბადის მიმართულებით გადაადგილდებოდა. 2008 წელს ინდოეთის ჩრდილოეთით ავტობუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ინციდენტის დროს მგზავრების უმრავლესობას ეძინა. ავტობუსიდან გაღწევა მძღოლმა და კიდევ ექვსმა მგზავრმა მოახერხა. ავტობუსი ბანგალორიდან ჰაიდარბადის მიმართულებით გადაადგილდებოდა.

# აშშ-ის კონგრესში სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით განხილვა დაიწყო

ამერიკული სპეცსამსახურების ხელმძღვანელები მზად არიან, მედიით გავრცელებულ ბრალდებებს უპასუხონ.

ეროვნული დაზვერვის სამსახურის დირექტორმა ჯეიმს კლეპერმა განაცხადა, რომ ასეთი სკანდალები ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას საფრთხეს უქმნის.

თავის მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელმა კიტ ალექსანდერმა აღნიშნა, რომ უკეთესია ბრალდებებს კონგრესში უპასუხო, ვიდრე საკუთარ ქვეყანაზე თავდასხმა დაუშვა.

მისი თქმით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედვარდ სნოუდენის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი სააგენტო ევროპელი მოქალაქეების სატელეფონო საუბრებს ისმენდა და ელექტრონულ წერილებს აგროვებდა „სრული სიცრეუეა“.

„ნათელი რომ გახდეს, ეს არ არის ევროპის მოქალაქეების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია. ეს ის ინფორმაციაა, რომელსაც ჩვენს ნატოელ მოკავშირეებთან ერთად ჩვენი ქვეყნების დასაცავად და სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად ვაგროვებდით“, – აღნიშნა გენერალმა.




ცნობისთვის, სატელეფონო მოსმენების სკანდალი სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის ედვარდ სნოუდენის მიერ მედიისთვის ინფორმაციის გადაცემის შემდეგ აგორდა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა ზოგიერთმა კანონდმებელმა ამერიკის დაზვერვის პროგრამებში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ გააკეთეს მოწოდება.

შეერთებული შტატების ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ობამას ადმინისტრაცია განიხილავს საკითხს, უბრძანოს თუ არა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს შეწყვიტოს ამერიკის მოკავშირეების ლიდერებზე ჯაშუშობა.

სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ, კალიფორნიელმა დემოკრატმა დაიანა ფაინსტაინმა ორშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში თქვა, რომ თეთრმა სახლმა მას აცნობა: „ჩვენს მოკავშირეებზე ინფორმაციის შეგროვება არ გაგრძელდება“. თუმცა ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა მოგვიანებით ხაზი გაუსვეს, რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არაა მიღებული.

ფაინსტაინმა მოითხოვა ამერიკის სადაზვერვო პროგრამების „სრული გადახედვა“ და თქვა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მისი კომიტეტი არ იქნა „დამაკმაყოფილებლად ინფორმირებული“.

# რუსეთი დნესტრისპირეთისთვის იბრძვის

მოლდოვა და უკრაინა, საბჭოთა კავშირის ყოფილი ორი რესპუბლიკა, ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ემზადებიან. თუმცა როგორც „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ჯეიმს ბრუკი მოგვითხრობს, გაერთიანების გზაზე არსებობს სერიოზული წინააღმდეგობა, მოლდოვას სეპარატისტული რეგიონის – დნესტრისპირეთის სახით, რომელიც ამ ქვეყნის შემადგენლობიდან გავიდა და რუსეთის დიდი ინტერესების ობიექტს წარმოადგენს.

დნესტრისპირეთი რუსეთს ჰგავს. ადგილობრივი ხელისუფლების საბჭოს შენობის წინ ისევ დგას ვლადიმერ ლენინის ძეგლი. რეგიონის დროშაზე კი ძველი საბჭოური სიმბოლიკაა გამოსახული.

მთავარ მოედანზე სამეფო გენერლის სამოსში გამოწყობილი ადგილობრივი მცხოვრები მოდის.

გასულ თვეს როდესაც, რუსეთის პატრიარქი კირილი მოსკოვიდან აქ მონასტრის მოსანახულებლად ჩამოვიდა, დნესტრისპირეთის მოსახელობამ მისი ვიზიტი ნამდვილ სახალხო ზეიმად აქცია.

როგორც ადგილობრივი წარმოების არყის ბოთლზეა გამოსახული, დნესტრისპირეთი მოლდოვასა და უკრაინას შორის, საკმაოდ დიდ მანძილზე გადაჭიმული ტერიტორიაა.

მოლდოვას პრემიერ-მინისტრი იური ლეანკა ამბობს, რომ დნესტრისპირეთი სეპარატისტული რეგიონია.

იური ლეანკა: სამწუხაროდ, ამ კონფლიქტის საკითხი მოგვარებული ისევ არ არის, რაც მოლდოვასთვის ნამდვილად საგულისხმოა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს ჭრილობა, საიდანაც სისხლი ისევ მოდის.

თუმცა დნესტრისპირეთში, რუსულენოვანი მოსახლეობა ამბობს, რომ ოცი წლის წინ ისინი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, რომ რუმინულენოვან მოლდოვას გამოყოფოდნენ.

სასტუმრო „როსიას“ მიმდებარე ტერიტორიაზე რეგიონის ყოფილი ეგრეთ წოდებული საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ იასტერბჩაკი რუსეთს




მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

ვლადიმერ იასტერბჩაკი: 20 წელზე მეტია რუსეთი ნამდვილად არის მათი მთავარი სტრატეგიული მოკავშირე. ანუ თითქმის იმდენი წელი, რაც დნესტრისპირეთმა საკუთარი სუვერენიტეტი მოიპოვა.

ცოტა ხნის წინ რუსეთის ვიცე-პრემიერი მოლდოვაში იმყოფებოდა, სადაც ხელისუფლება გააფრთხილა, რომ რუსეთის სამხედრო ძალა დნესტრისპირეთის ავტონომიის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

დიმიტრი როგოზინი: თუკი მოლდოვას მხარეს გადაწყვეტილებების მიღება დნესტრისპირეთის ერთი სანაპიროს გარეშე სურთ ეს საკმაო რისკს შეიცავს. ამიტომაც დგანან რუსი მშვიდობისმყოფელები დნესტრისპირეთში.

მოსკოვი შეშფოთებულია ვილნიუსში ნოემბერში დაგეგმილი სამიტის გამო, სადაც მოლდოვას და უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. დნესტრისპირეთის ჟურნალისტი ერნესტ ვარდანიანი ამ თემაზე საუბრობს.

ერნესტ ვარდანიანი: თუკი ევროკავშირთან უკრაინა წევრობის ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერს ხელს ვილნიუსში და ამის შემდეგ მოლდოვაც ამ გზას გაიმეორებს, მოსალოდნელია რომ დნესტრისპირეთში სიტუაცია გართულდეს, და რეგიონზე ზეწოლა გაიზარდოს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დნესტრისპირეთის მოსახლეობის ნაწილი სამუშაოდ რუსეთში, ნაწილი კი ევროპაში გაემგზავრა.

მოლდოვას პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ სამუშაო ადგილებს და ეკონომიკურ განვითარებას შეუძლია ქვეყანაში ორ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი გააერთიანოს, რომელთაც ახლა მდინარე დნესტრი ყოფს.

იური ლეანკა: ჩვენ გსურს, მდინარის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ ადამიანებს ვანახოთ, რომ მოლდოვას აქვს პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალება რითაც დნესტრისპირეთის მოსახლეობის დაინტერესებას შევძლებთ. რამდენიმე წლის წინ, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გზა ისეთივე ცუდი იყო როგორც მარცხენაზე, ასევე დიდი იყო მიგრანტთა რაოდენობაც მდინარის ორივე სანაპიროზე, არც სრულყოფილი ჯანდაცვის სისტემა არსებობდა.

თუმცა, ამ დროისთვის როგორც ჩანს, დნესტრისპირეთი მაინც კმაყოფილია რუსეთთან თანაცხოვრებით, და გამოიყურება, როგორც ცენტრალურ ევროპაში დაკარგული რუსეთის ერთ-ერთი კოლონია, – წერს „ამერიკის ხმა“.

1918-40 წლებში დღევანდელი მოლდოვა, დნესტრისპირეთის გამოკლებით რუმინეთის ნაწილი იყო. 1940 წელს, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის თანახმად, რუმინეთის აღმოსავლეთი ნაწილი (ე.ი. მოლდოვა) გადაეცა საბჭოთა კავშირს. მოლდოვას სსრ-ს შექმნამდე, ანუ 1940 წლამდე, დნესტრისპირეთი შედიოდა უკრაინის სსრ-ში, მოლდოვის ავტონომიური სსრ-ს სახით.

თვითგამოცხადებული სეპარატისტული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ე.წ. დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის კონტროლის ქვეშაა მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპირო, რომელიც უპირატესად ეთნიკური რუსებით და უკრაინელებით არის დასახლებული, ასევე მარჯვენა სანაპიროს ქალაქი ბენდერი.

1991 წელს მოლდოვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. იმავე წელს დნესტრისპირეთის სლავურმა მოსახლეობამ გამოაცხადა დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა, რასაც მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი. ამჟამად კონფლიქტი დაკონსერვებულია, მხარეებს შორის პირობით საზღვარზე რუსეთის სამშვიდობო ძალებია განლაგებული. სტატუსზე დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## თორნიკე მაღრაძის მონატრება

თორნიკე! ჩვენო მოუნელებელო ტკივილო, ჩვენო დიდო მწუხარებავ, დღეს, 31 ოქტომბერს, 18 წელი შეგისრულდა, ყველაზე კარგი ასაკი ახალგაზრდისათვის. შენ კი, ჩვენო მოუსვენარო ბიჭო, ოთხი თვის წინ დატოვე ეს ქვეყანა და მარადისობაში გადაინაცვლე. უბედურებაა, როდესაც ამ დღეს უშენოდ ვხვდებით. შენს ტყუპის ცალ ელენეს შენ მაგივრად ჩვენ მივულოცავთ. თოკო! სადაც ხარ, იქ გილოცავთ დაბადების დღეს და ვილოცებთ, რათა შენი სული ნათელში იყოს.

თოკო! გამწარებული დატოვე მშობლები, ძმა დათო, ელენე, ანი. შენი პატარა ძმისშვილი, გიორგი შენს სურათს ეფერება. მასაც ვერ შეუსრულე პირობა, რომ ამბობდი, მე უნდა გავზარდოო.



თოკო! რომ გცოდნოდა, რა ძნელი იქნებოდა უშენობა შენი მშობლებისთვის, ბაბუასთვის, ბებიებისთვის, მამიდასთვის, დეიდებისა და ყველა ახლობლისთვის, არ დაჯდებოდი იმ სიკვდილის მანქანაზე, რომელმაც შენ შემდეგ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა. მიკვირს, რით დაიმსახურე ამდენი ადამიანის სიყვარული, რომლებმაც ალალი ცრემლით გაგაცილეს.

თოკო! არ ვიცი, რა გავაკეთო, ჩემი ნატვრა რომ შეასრულო და დამესიზმრო, სიზმარში მაინც მოგეფერო. ჩემო ლამაზო ბიჭო, რამდენიმე დღის წინ ქუჩაში „კაპიუშონიანი“ ბიჭები დავინახე, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ წავქცეულიყავი. შენ ხომ ძალიან გიყვარდა „კაპიუშონით“ სიარული. გულით დავლოცე ის ბიჭები.

თოკო! მთელი ღამე გელაპარაკები, დილით გიკითხავ ლოცვებს, გინთებ სანთლებს, რომ სულ ნათელში იყო. ხშირად მოვდივართ შენთან, მაგრამ ნუგეში არსაიდან არის. ძალიან განვიცდი შენი მშობლების მდგომარეობას. გიამ მითხრა, დედა, მონატრებას ველარ ვუძლებო. მას ყველაზე ძალიან უჭირს. მე კი მანამ მიჭირს, სანამ შენთან წამოვალ, მერე ერთად ვიქნებით და აღარ მომენატრები. მინდა, ეს დრო მალე დადგეს.

კიდევ ერთხელ გილოცავ შორიდან დაბადების დღეს, გეფერებით, გკოცნით, გკოცნით ძალიან ბევრს.

**შენი გამწარებული მედიკო ბებია,**
**ჩვენი დიდი ოჯახი და ახლობლები**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 31 ოქტომბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" **17.00** დ/ფ წყალქვეშა ომების წარმოების წესი" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ დიზაინი" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ/დოკ/ფ. "**ჰაჯი მურატი – ფილმი" რომელიც არ დაიდგა**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ვენეცია" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ. **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 13 სერ. (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ "**ბაარია**" (მ.მადე)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.15** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" 3 სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "წმინდა დიდმოწამე დედოფალი შუშანიკი" **11.10** დოკ/ფ "ქვათახევი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**რაჭა-ჩემი სიყვარული**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" 4 სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -აღდგომიდან ამაღლებამდე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "უბისა" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ზღვარზე" გად. III **23.40** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" 4 სერ.

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ს **7.55, 8.10, 9.15** მალვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6675

ევრო — 2,3028

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7024

100 რუსული რუბლი — 5,2417

## ამინდის პროგნოზი 31 ოქტომბრისთვის





# მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 .................... მგლის ბილიკი

ტომი 2 .................... შავი ვარდი




სს „თიბისი ბანკი"
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ: 09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

გადაუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

**კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს — 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!**

**25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია — ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.**

**უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ისტორიული სამთავრო სამხრეთ საქართველოში; 2. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 3. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 5. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხმლებით; 14. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 1. პრივილეგიური, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 4. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 8. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 12. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული; 13. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 15. იზოლირებული სადენი; 17. რაიმეს ჩამონათვალი; 19. საქართველოს ეროვნული გმირი; 20. ფულის ერთეული ირანში; 21. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## ქართველი ძალოსნები დისკვალიფიკაციას ელიან



20-დან 27 ოქტომბრამდე პოლონეთის ქალაქ ვროცლავში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში არც ერთ ქართველ სპორტსმენს მონაწილეობა არ მიუღია. პოლონურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად. როგორც ირკვევა, ამის მიზეზი დოპინგსკანდალია, რომელშიც ქართველი ძალოსნები გაეხვნენ. ვებგვერდის ცნობით, სისხლში არსებული აკრძალული ნივთიერების გამო, მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა ტუნისელმა და ქართველმა სპორტსმენებმა არ მიიღეს.

როგორც ირკვევა, ძალოსნებმა ვერ გაიარეს დოპინგკონტროლი აპრილში გამართული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ — საუბარია რაულ ცირეკიძეზე და დავით გოგიაზე.

სავარაუდოდ, სპორტსმენებს შეჯიბრებებში მონაწილეობა 2 წლით აეკრძალებათ, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას კი ფინანსური სანქციები დაეკისრება.

ასევე არ არის გამორიცხული, დისკვალიფიცირებული ძალოსნების რიცხვი კიდევ გაიზარდოს.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია ოფიციალური განცხადებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ამის მიზეზად ფედერაციის პრეზიდენტ დავით ბეჟუაშვილის საზღვარგარეთ ყოფნა სახელდება.

კონტრეტული საუბრისგან თავს იკავებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც. მინისტრი აღნიშნავს, რომ დამნაშავეები დაისჯებიან, ხოლო ამ წუთში კონკრეტულად ვერაფერს იტყვის, რადგან ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობისგან ოფიციალური ინფორმაცია არ მიუღია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## დათო ტურაშვილმა რეჟისორობა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

**მწერალმა დათო ტურაშვილმა მეოთხედ ბანკის „რესპუბლიკა" სათავო ოფისში კინომოთხრობის პრეზენტაცია მოაწყო, რომელსაც ავტორმა „ფრანგულ-ქართული ისტორიები" უწოდა. დათო ტურაშვილი მისივე სტუდენტებსა და ბანკის თანამშრომლებს შეხვდა და ფილმის ჩვენების შემდეგ, დისკუსია გამართა.**

ბანკის „რესპუბლიკა" მხარდაჭერით მწერალმა თავისი კინომოთხრობა „ფრანგულ-ქართული ისტორიები" სულ ცოტა ხნის წინ სიყვარულის ქალაქ პარიზში გადაიღო. ფილმი ქართულ-ფრანგულ ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებსა და საფრანგეთში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ეძღვნება. ის საგანმანათლებლო ხასიათისაა და ახალგაზრდა თაობისათვის განსაკუთრებით საინტერესოა.

როგორც ბანკის „რესპუბლიკა" კორპორაციული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი თეიკო კანდელაკი აცხადებს:

— ბანკი ფრანგული და ქართული კულტურული კავშირების გაღრმავებას განაგრძობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველასათვის საყვარელმა მწერალმა და მკვლევარმა დათო ტურაშვილმა მისთვის დამახასიათებელი, ორიგინალური, ინფორმატიული და სიყვარულით შთაგონებული კინომოთხრობა გადაიღო, რომელიც ერთნაირად საინტერესოა როგორც სტუდენტების, ისე სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისათვის. ჩვენი სათავო ოფისის დიდი დარბაზი აუდიტორიას ძლივს იტევდა. ჩვენს თანამშრომლებთან ერთად შეხვედრაზე ისტორიის, მედიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც მოვიწვიეთ. დათო ტურაშვილის ფილმი ყველა დამსწრე სტუმარმა საჩუქრად მიიღო. მოხარული ვართ, რომ ამ პროექტით ჩვენი წვლილი შევიტანეთ ორი ქვეყნის კულტურათა შემდგომი დაახლოების საქმეში.



კინომოთხრობის წარდგინებამდე დათო ტურაშვილმა ქუთაისში საკუთარი ახალი წიგნის პრეზენტაციაც ჩაატარა. „ტყეების მეფე" — ასეთია ახალი წიგნის სახელწოდება. ეს არის რომანი, რომელიც დავით აღმაშენებელს შეეხება.

— ლონდონში ასეთი პრაქტიკაა, ლონდონის თეატრი სპექტაკლს რომ დადგამს, მისი პრემიერა ჯერ სოფლებსა და სხვადასხვა ქალაქებშია და ბოლოს უკვე ლონდონში ითამაშებენ ხოლმე. ჩვენთან ყველაფერი თბილისშია თავმოყრილი, ამიტომ სპეციალურად გადავწყვიტე, წიგნის პრემიერა სხვაგან გვქონოდა და ბოლოს თბილისში. „ტყეების მეფე" რომანია, დავით აღმაშენებელი ქუთაისელი კაცი იყო და ამიტომ ამ წიგნის პრეზენტაცია პირველად სწორედ ქუთაისში გადაწყდა, — განაცხადა მწერალმა.

დათო ტურაშვილი თავისი ემოციური და პირდაპირი საუბრებით ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ამჯერად მწერალმა გადაწყვიტა, საქართველოს პრემიერ მინისტრისთვის ბიძინა ივანიშვილისთვისაც მიემართა:

— ახლა მინდა, ივანიშვილსაც მივმართო: წელს მიკ ჯაგერის სასცენო მოღვაწეობის ბოლო წელია. იმ სტადიონზე, სადაც მე ბავშვობიდან ვოცნებობდი, მიკ ჯაგერის მოსმენას, ბერა ივანიშვილმა იმღერა და ისე ნუ მომკლავს, მიკ ჯაგერი არ ჩამოიყვანოს საქართველოში, — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

## კვიპროსში ღალიას მონასტრის სარეაბილიტაციო პროექტი განახლდა



კვიპროსში ღალიას სამონასტრო კომპლექსში არსებული ღვთისმშობლის ტაძრის დამცავი გადახურვის მოწყობა დაწყებულია. სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება. ქვეყნის გარეთ არსებული X-XII საუკუნის უდიდესი არქიტექტურული კომპლექსის გადარჩენა და მისი საერთაშორისო ტურისტულ ქსელში ჩართვა კვიპროსისა და საქართველოს სიძველეთა დაცვის უწყებების მთავარი ამოცანაა. ამ მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი კვიპროსში იმყოფებოდა, სადაც ოფიციალური სამუშაო შეხვედრები გამართა კვიპროსის სიძველეთა დეპარტამენტის დირექტორ მარინა იერონიმიდუსა და ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ფილოთეოსთან.

სამუშაო შეხვედრის დროს მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უახლოეს მომავალში კვიპროსზე მივლინებით წარვგზავნოთ სააგენტოს სპეციალისტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კონსტრუქციების მონტაჟის პროცესს, და შესაბამის ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს როგორც საქართველოს ასევე კვიროსის პასუხისმგებელ სამსახურებს; ღალიის მონასტერზე გადახურვითი კონსტრუქციის დამაგრების შემდეგ, საქართველოს კულტურის სამინისტროს დელეგაცია ეწვევა კვიპროსს, რა დროსაც შედგება შეხვედრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და კვიპროსის რესპუბლიკის კომუნიკაციების მინისტრებს შორის; კვიპროსზე საქართველოს დელეგაციის ჩასვლამდე, ქართული მხარე უზრუნველყოფს ღალიის მონასტრის შესახებ სამენოვანი მცირე ბროშურის დაბეჭდვას; კვიპროსზე საქართველოს დელეგაციის ჩასვლამდე, ქართული მხარე უზრუნველყოფს ღალიის მონასტრის ტერიტორიაზე სამენოვანი საინფორმაციო დაფის დამონტაჟებას; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და კვიპროსის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი ერთობლივად დაიწყებენ მუშაობას ღალიის მონასტრის შესახებ სამეცნიერო ნაშრომის შეჯერებასა და გამოცემაზე; ორი ქვეყნის უწყებები გამოყოფენ პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც მოამზადებენ ღალიის მონასტერზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მასალის საქართველოში ექსპონირების პროექტს.

— კვიპროსის მხარესთან თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო. ამ დროისთვის ეტაპობრივად განხორციელდა ღალიას სამონასტრო კომპლექ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 31 ოქტომბრისთვის

ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ლომი** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ, იაქტიურეთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მშვილდოსანი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თხის რქა** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **მერწყული** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **თევზები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!